

619 12
984 v5

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0130 1624

საქართველო

მკობი
№ 5 1984 წ.

967136920
2022070439





სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო.

11-12 აპრილს მოსკოვის კრემლის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის მეტერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. სესიამ სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი დებუტატი კ. უ. ჩერნენკო ერთხმად აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. სესიამ განიხილა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საკითხები, აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, მდივანი და წევრები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ნ. ა. ტიხონოვი, შეიქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო; სესიამ დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და მიიღო შესაბამისი კანონები.

ახანავ კ. უ. ჩიჩინკოს ბაიოსკლა

სსრ კავშირის XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიაზე



ძვირფასო ამხანაგებო!
 ვფიქრობ, რომ გამოვხატავ სსრ კავშირის ახლანა ანჩეული უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყველა წევრის გრძობებს და გულითად მადლობას მოვასხენებ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, თქვენ ყველას, ამხანაგო დებუტატებო, დიდი ნდობისათვის, რომელიც ჩვენ გამოგვიცხადეთ. (ტაში).

კარგად გვესმის, რომ ეს ნდობა გვავალებს მთელი ჩვენი ძალ-ღონე, ცოდნა და გამოცდილება მოვახმაროთ მშობლიური პარტიის, საბჭოთა ხალხის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამსახურს.

ნება მიბოძეთ, უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ დიდი პატივისათვის, რომ ამირჩიეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. (ტაში). საკვებით შეგნებულნი მაქვს ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელთანაც დაკავშირებულია ამჟამად ამ მოვალეობათა შესრულება. ახლა განსაკუთრებით გვჭირდება მნიშვნელოვანი, საფულდაგულოდ აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილებები და დიდი ორგანიზატორული მუშაობა, რათა კიდევ უფრო გავზარდოთ ეკონომიკის ეფექტიანობა და ამის საფუძველზე განუხრელად გავაუმჯობესოთ ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების პირობები.

გონივრულ შეთანხმებათა მიღწევისათვის გზების ძიებაში მუდმივ აქტიურობას, სიმტკიცეს, თანამიმდევრულობას მოითხოვს საგარეო პოლიტიკა. მისი მიზანია, დავძლიოთ საერთაშორისო დამაბულობა, უზ-

რუნველყოთ უშიშროება, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი სახელმწიფო ინტერესები, დავიცვათ მთელი მსოფლიოს მშვიდობა.

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფისათვის ყველა ჩვენს საქმეში უდიდესი როლი განეკუთვნებათ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, მის პრეზიდიუმს, მუდმივ კომისიებს. ისინი დიდ მუშაობას ეწევიან ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის, კანონმდებლობის განვითარების, საგარეო პოლიტიკის დარგში.

ვფიქრობ, მათს საქმიანობაში ახლა განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს მუშაობამ ყველა საფეხურის საბჭოებისადმი ხელმძღვანელობისათვის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, მართვის ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის, ბრძოლამ ყოველ უზანხე დისციპლინის, ორგანიზებულობის, პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. აქ არის ფართო სარბიელი თითოეული დეპუტატის აქტიურობისა და ინიციატივის გაძლიერებისათვის.

ხალხის რჩეულნი ახდენენ ხალხის გამოცდილების, სიბრძნის, შემოქმედებითი ენერჯის აკუმულაციას. მათს საერთო და ინდივიდუალურ წვლილზე დამოკიდებულია ჩვენი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მუშაობის პულისი, მისი ქმედითობა და ეფექტიანობა.

მამ, მოდიოთ და ყველამ ერთად ვიმუშაოთ ისე, რომ ეს პულისი ფეთქავდეს თანაბრად

და ზუსტად, რათა წარმატებით ვწყვეტდეთ ჩვენი შინაგანი განვითარების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის ამოცანებს.

ამ ბოლო დროს შესამჩნევად გაიზარდა მასების შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობა. ეს იმ მუშაობის პირდაპირი შედეგია, რომელიც გავშალეთ ეკონომიკური და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დარგში.

ამ მიზანს აქტიურად უნდა ემსახურებოდეს საბჭოების საქმიანობის ყველა მხარის გაუმჯობესება, მუშაობა სოციალისტური დემოკრატიის, ჩვენი საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის.

როგორც გუშინ გამართულ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, საბჭოების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია. და ჩვენ ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ ავამოჭმედოთ ისინი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ როლს, რომლის შესრულება შეუძლიათ და კიდევ უნდა შეასრულონ საბჭოებმა ჩვენს სამეურნეო საქმეებში, ეკონომიკის მართვის სისტემის სრულყოფაში.

საჭიროა, რომ ისინი უფრო აქტიურად ახორციელებდნენ თავიანთ საკონტროლო ფუნქციებს, იჩენდნენ მეტ მომთხოვნელობას ანგარიშვალდებულო ორგანიზაციებისადმი, თანამდებობის პირებისადმი.

საბჭოების საკანონმდებლო, სამმსრულებლო, საკონტროლო საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს მასების ორგანიზაცი-

ასა და მათი ენერჯის განვითარებას. ეს მეტ ყურადღებასაც მოითხოვს მშრომელთა რეალური ინტერესებისადმი, მოთხოვნებისადმი და ფორმალიზმის, უსულოების მომენტების თანამიმდევრულ აღმოფხვრასაც, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის საბჭოების მუშაობაში.

ვფიქრობ, სწორი იქნება, თუ უახლოესი პერსპექტივისათვის, სკკპ XXVI ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მითითებათა საფუძველზე დავისახავთ შემდეგ ძირითად ამოცანას:

მტკიცედ ვიღვაწოთ იმისათვის, რომ საბჭოების კონსტიტუციური უფლებები სრულად გამოიყენებოდეს, რომ ჩვენი სახალხო ხელისუფლების ორგანოები საქმით უზრუნველყოფდნენ მშრომელთა აქტიურ, შეგნებულ, დაინტერესებულ მონაწილეობას სახალხო მეურნეობის, საზოგადოების, სახელმწიფოს მთელი საქმეების მართვაში.

დასასრულ, ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ მადლობა მოგახსენოთ, ამხანაგებო, დიდი ნდობისათვის და გამოვთქვარწმენა, რომ მომავალ პერიოდში პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი ახალ წარმატებებს მიაღწევენ ეკონომიკის განვითარებაში, საბჭოთა ადამიანების კულტურის აღმავლობასა და კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ქვეყნად საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაში.

(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

გაუპარჯოს 1 მაისს — იბერიული ხალხის ნინაფაფა, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 5 (569) მაისი. 1984

უფრნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-კოლმეტიკური და სალიტერატურ-სამხატვრო შურნალი

გთავარი რედაქტორი



სუბა გერუღავა

საპარტველოს კვ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1984 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. შღვიანი), ნათელა გიორგოზიანი, თეანო გომოღვაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სარგო დურმიშიძე, ვახტანგ ეხვანჯია, ოთარ თუჩუა, დინარა ნოღია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაგირიძე, ილია ტაბაღაშა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.



ფოტოკორესპონდენტი
ბონდო დადვაძე
საქართველოს ტელე-რადიოს
მუშაკებთან

• საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძე დავალებას აძლევს ტელეკომენტარებს.

• „ზიუროკრატთა გალერიის“ გადაცემის წინ.

• რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ვიქტორ შარაშენიძე ემზადება ტელევიზიაში გამოსვლისათვის.

• ტელევიზიისა და რესპუბლიკის ავტონისპექციის ერთობლივი რედი.



ქრონოლოგიური
 გეგმობით

მარიკა ბარათაშვილი
მკითხველებთან

კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მეცნიერ მუშაკთა ნათელი დარბაზი მინდვრის ყვავილებითა და მიხაკებით არის სავსე. თავი მოუყრიათ მკითხველებს, თანამშრომლებს. გაზაფხულის ამ ლამაზ დღეს ბიბლიოთეკის სტუმარია ცნობილი პოეტი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე, ყურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი.

საყვარელ პოეტს გულითადად მიესალმა ბიბლიოთეკის ღირებულო, საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი ალექსანდრა კავკასიძე. პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ნინო ჩიხლაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ: პროფესორი სოლომონ ხუციშვილი, ყურნალ „საქართველოს ქალის“ პასუხისმგებელი მდივანი ეთერ ჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ქეთევან კიკნაძე, მწერალი კლავდია დევიდარიანი, თეატრმცოდნე დამანა მედიანიშვილი, ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოგრაფი ნინო ლაიშვილი, მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე ზეინაზ ჟიჟილაშვილი.


მარიკა ბარათაშვილის ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: ვახტანგ გორგაძემ, ნანა ღვინეიძემ, ალექსანდრე ბეგაშვილმა, რუსუდან მკერვალიშვილმა, შუშანა მგელაძემ, მსახიობებმა: თამარ ბაქრაძემ, ელენე საყვარელიძემ, ეკატერინე ვაჩნაძემ, ლამიზირა ჩხეიძემ, გურამ გეგეჭკორმა, მოსწავლე მია ხატიაშვილმა.

დარბაზში დიდხანს ისმოდა პოეტის ლექსებზე შექმნილი მელოდიური სიმღერები, ასე ოსტატურად რომ შეასრულეს ჩიქოვანების ოჯახის ანსამბლმა და მომღერალმა ცინუკი დანიანმა.

დასასრულ, მარიკა ბარათაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ.

ენაქელა გერიაცცივილი.

კ. მარქსის ს.ს. საქ. სსრ



— ლაპარაკობს თბილისი! ვიწყებთ ლიტერატურულ გადაცემას.

ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსებს კითხულობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მერი მიქელაძე...

„...რომ ვინც არ უნდა ვიყო მე, სადაც არ უნდა ვიყო მე“...

მის ხმას ადვილად ცნობენ, უყვართ, ელიან, სჯერათ მისი ნათქვამი სიტყვის.

მართლაც, ხმის გამორჩეული ტემბრი აქვს, საოცრად კარგად ფლობს ქართული სიტყვის პლასტიკას, გადამდებია მისი ჭარბი ემოცია და აღტაცების უნარი.

„მსურს, დაუსრულებლად ვისმინოთ, რადგან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა მხატვრულმა კითხვამ. მიყვარს თქვენი ლამაზი ქართული, თქვენი ხავერდოვანი ხმა“. წერილი ახალციხის რაიონის სოფელ მუსხიდან.

მერი მიქელაძე საქართველოს რადიოს დიქტორია. იგი იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ვისაც ძალეწიფების სისხლსავე, ძარღვიან ქართულს თავისი ხმის მაღლი სცხოს და ამ სიტყვაში ჩადებული აზრი კიდევ უფრო შთაბეჭდავი გახადოს.

„როგორც არ უნდა მიჰიზიდეს, როგორც არ უნდა მიღიზიდეს...“

იგი გრძნობს და ხედავს თავის მსმენელს. იგი ქვეყნის ბედის თანაზიარია, რადგან ერთ-ერთს პირველს მიაქვს მსმენელთა მრავალრიცხოვან აუდიტორიამდე ყველა მნიშვნელოვანი ამბავი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ ახალ მასალას, ახალ ინფორმაციას იგი შესაფერის ინტონაციასა და საღებავს უძებნის.

„თქვენს მიერ რადიოთი გადმოცემულ უკანასკნელ ცნობებს, თუ სხვა გადაცემებს, დიდი ხანია, უაღრესი ყურადღებით ვისმენთ და თანაუფერძნობთ ხოლმე. განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევს ჩემში თქვენი ხმის ტემბრი და გადმოცემის მაღალი ტექნიკა, რასაც ნამდვილად ბრწყინვა-

ლედ ხართ დაუფლებული“. წერილი მესტიის რაიონის სოფელ ხაიშიდან.

რა თქმა უნდა, ყველაფერი დიდი ვარჯითა და მონდობებით, იმ დიდებულ ადამიანებთან ურთიერთობით მოვიდა, როგორებიც იყვნენ აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე, ეროსი მანჯგალაძე. დიდი ამაგი დასდეს მერი მიქელაძის არტისტული ნიჭის სრულყოფას მიხეილ თუმანიშვილმა, დოდო ალექსიძემ. დაუვიწყარია მერისათვის რუსთაველის თეატრში გატარებული წლები.

„სპექტაკლში „ოდიპოს მეფე“ არის მცირე როლი იოკასტეს მსახური ქალისა, რომელიც გულგამგმირავი ყვირილით გამოიჭრება სასახლიდან, ვითარცა მრისხანე უბედურების მაუწყებელი ფრინველი, იგი ჰყვება იოკასტეს და ოდიპოსის თვითდასჯის საზარელ ამბავს.

ამ როლს ასრულებს რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა მსახიობი მერი მიქელაძე. ეს პატარა ეპიზოდი მას უდიდეს ტრაგიკულ სიმბოლემდე აყვავს და თეატრიდან წასულ მაყურებელს დიდხანს არ ავიწყდება მისი ანთებული თვალები, ფრთხილად გაშლილი ხელები და შეძრწუნებული სახე“. ე. გუგუშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

„მოთმინებითა ჩემითა...“

ერის დასტურით, ნებთა...“

სიამოვნებით იხსენებს მერი მიქელაძე იმ წლებს, როდესაც იგი — საქართველოს რადიოს დიქტორი, რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ახლოს დგომამ რადიომსმენელებთან, მათი საფიქრალ-საზრუნავის გაზიარებამ კიდევ უფრო მეტად აგრძნობინა მერის რადიოთი ნათქვამი მართალი სიტყვის ძალა.

„ჩვენო ძვირფასო, როცა თქვენ ხმას ვისმენ, ასე მგონია, ავგრ ჩემს სახლში დგახართ, ყოველთვის დიდი სიამოვნებით ველი რადიოდან გამგებს თქვენი მონაწილეობით,

მოგვწონს თქვენი ხმა, თქვენი შესრულება. გვინდა, დღეგრძელობა გისურვოთ და ხალისით სავსე ცხოვრება“. წერილი საჩხერის რაიონის სოფელ ნავარძეთიდან.

რადიომსმენელებთან უშუალო კონტაქტის წყურვილმა ჩააფიქრებინა საქართველოს რადიოს დიქტორებს — რესპუბლიკის სახალხო არტისტს ქეთევან ლანდიას, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს მერი მიქელაძეს და მსახიობ ლევან ყავლაშვილს, კუთვნილი შვებულების დროს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში ჩაეტარებინათ მხატვრული კითხვის საღამოები. ამ საღამოებზე წარმოდგენილ პროგრამებში შედიოდა რადიომსმენელთაგან მრავალგზის მოწონებული ლიტერატურული კომპოზიციები, გამსჭვალული უდიდესი სიყვარულით მშობლიური მიწისადმი, ხალხისადმი, ვინც მაღალი ხელოვნების უპირველესი პირუთვნელი შემფასებელია და ავისაგან კარგის გამომჩრჩევი.

„ლაპარაკობს თბილისი! რაოდენ ნაცნობი და საყვარელია ეს სიტყვები! როგორც ყველას, მეც ძალიან მიყვარს ჩემი დედაქალაქი. მიყვარს ის ადამიანებიც, ვინც მისი სახელით ლაპარაკობენ — რადიოდიქტორები. განსაკუთრებით გამოვარჩევ ერთ მათგანს — მერი მიქელაძეს. ვუსურვებ მას ჯანმრთელობასა და ბედნიერებას“. წერილი კასპის რაიონის სოფელ ხოვლეიდან.

იყო რადიოს დიქტორი, ეს ნიშნავს, სრულად და სავსებით ფლობდე სიტყვას, გრძნობდე მის ძალას, გაგაჩნდეს აუდიტორიის განწყობის გამოცნობის უტყუარი ალღო, ზუსტად პოულობდე შესაფერის ინტონაციას გულში ჩამწვდომი საჭირო სიტყვისათვის, რომელსაც მოაქვს ამბავი ბრძოლის, ძიების, აღმშენებლობის, გამოცდილებად ქცეული ექსპერიმენტების, შემო-

ქმედებითი აღმოფრენით სავსე ცხოვრებისა.

მართლაც განუმეორებელია აუდიტორიისთან მიკროფონით ურთიერთობის პროცესი. მერი მიქელაძე ფლობს ამ ურთიერთობის ყველა გასაღებს. მილიონიან აუდიტორიაში იგი ეძებს ნაცნობ თვალებს იმ ადამიანებისა, ვისაც სჯერა მისი, ახლა ამ აუდიტორიის მისი პატარა შვილიშვილიც შეემატა. მართლმან სიტყვამ უნდა დააკვალიანოს იგი.

მერიც ეფერება ყოველ სიტყვას, ბავშვივით ვალერსება და უყვავებს მას.

რა მგრძობიარეა სიტყვა, როცა აზრია მახვილი! მერი მიქელაძეც სწორედ მაშინაა ბედნიერი, როცა ამგვარ აზრს მეგზურობს.

„დაე, მრავალ წელს ასე საამოდ გაისმოდეს თქვენი ხმა ეთერში ჩვენი — მსმენელების გასახარად. ვისურვებთ სიხარულს, მზეს, მშვიდობას, სიკეთეს და ბედნიერებას“. წერილი მესხეთიდან.

... „სისხლით, ზორით და გზებითა“

სიტყვით, საქმით და ფიქრებით, სამშობლო — საქართველო, შენი ერთგული ვიქნები“.

„თქვენ მოისმინეთ ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსები. მიკროფონთან იყო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მერი მიქელაძე. ლიტერატურული კვლევა დამთავრებულია“.

მიმავალ შეხვედრამდე, მერი!

მარიკა ზაქარაძე.

ქართული დივიზიის ფრონტული გაზეთი „წინ გამარჯვებისაკენ“ — მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25-ე წლისთავისადმი, 1942 წლის 7 ნოემბერი № 110... მაშინ სამხრეთის ფრონტზე მძიმე ბრძოლები იყო, მაინც მოვანერხეთ, რომ ნომერი სადღესასწაულო გამოვუყოფო. ამ დროისათვის უჩვეულო თვითრედაქციის დაბეჭდილი წერილებში ცოცხლდება დაძაბული დღეები, თვალწინ წამოიძარტებია გულადი თანაბრობები. ზოგი გამიზნულად დაეცა ბრძოლის ველზე და მარად ახალგაზრდა დარჩა... ზოგს დღესაც ვხვდებით, ჭაღარამორეულს, მაგრამ მხნეა და ბედნიერს... თითოეული მათგანის თავდადება, და სამშობლოს ღრმა სიყვარულმა ჩაუდგა სული ამ საზეიმო ნომერსაც.

გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილია საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს წინა საღამოს ცნობა: „ნაღიკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჭარბი გამაფრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის დიდი ძალების წინააღმდეგ“. ამ მოკლე, მშრალი ცნობის უკან იდგა სასტიკი, სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომლის მთავარი გმირებიც სწორედ ჩვენი დივიზიის გაზეთის მკითხველები და კორესპონდენტები იყვნენ.

დახმარების გარეშე დარჩენილ მებრძოლებს სამი მხრიდან ეძალებოდა მტერი. კავკასიონის ქედი უმაგრებდათ მხოლოდ ზურგს. პოზიციები არ დაუთმიათ, წინააღმდეგობის ძალა არ დაუკარგავთ. იბრძოდნენ დღითა და ღამით. იბრძოდნენ მტკიცე გადაწყვეტილებით — არ შეერცხვინათ უკმე ალარებული მეომრული სახელი, გამარჯვებული გამოსულიყვნენ მორიგი მკაცრი გამოცდიდან ან ვაჟაკურად დაცემულიყვნენ. ამ შეგნებით მოქმედებდა დივიზიის სარდლობა და მთელი პირადი შემადგენლობა. ეს სულიკვეთება იგრძნობა გაზეთში თავიდან ბოლომდე.

ვინ იყვნენ წერილების ავტორები? მეთაურები და პოლიტმუშაკები, რიგითი მებრძოლები, რომელთა სიტყვა და საქმე განუპრყელი იყო. მათ შორის ვხვდებით ორი დეპუტატის ადამიანის სახელს, ძველ ბოლშევიკებს — კომისარ კლიმენტი გვალას და პოლიტმებრძოლ მაღნახ ფარულავას. მათი გამოსვლა მეომრებს რწმენას განუშტობდა, ახალი შემართებისათვის რაზმავდა დივიზიის მთელ პირად შემადგენლობას.

გაზეთის პირველ გვერდზე დიდი ასოებით წითლად არის დაბეჭდილი მოწოდება — „გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის 25-ე წლისთავს!“ აქვე, მამართავში, ვკითხულობთ: „ამხანაგო მებრძოლებო და მეთაურებო! დღეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25-ე წლისთავია! ეს დიდი თარიღი ჩვენგან მოითხოვს მეტ სიმტკიცეს, მეტ ორგანიზებულობას, საქმის მეტ ცოდნას, შეუპოვრობას გერმანულ ფაშისტ-დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მაშ, შევეცივთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ ახალი ენერგიით, კვლავ მზად ვართ, ვებრძოლოთ სამშობლოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის!“

გზობიწყო სხელო

პეტრა შამათავა



ორ სვეტზე დაბეჭდილ მეთაურ წერილში („კვლავ ახალი ძალებით ჩავებათ საბრძოლო შეჯიბრებაში“) საუბარია მსრულელთა, მეტყვეამფრქვევთა, მესანგრეთა, მენაღმტყორცნეთა და არტილერიისტთა საოქტომბრო საბრძოლო წარმატებებზე. გაზეთი ფართოდ აცნობდა მკითხველებს მოწინავე მეომართა საბრძოლო გამოცდილებას.

ბოლოს მოწოდებით მიმართავდა შენაერთის მეომრებს: „მაშ, ოქტომბრის რევოლუციის 25-ე წლისთავზე, ამხანაგებო, შევეცივთ ერთმანეთს — სიმტკიცე და თავდადება სამშობლო-საღმ, ვყოთ ბოლომდე ერთგულნი ჩვენი სამხედრო ფიცისა, ვებრძოლოთ სამშობლოს თავისუფლების, ბედნიერებისა და ღირსებისათვის!“

წერილში — „არტილერიისტების საბრძოლო შეჯიბრება“ კლიმენტი გვალა დიდი სიყვარულის და სიამაყის გრძნობით მოუთხრობდა ახალგაზრდა მეომრებს ქართველ არტილერიისტთა მამაცობისა და ოსტატობის შესახებ ბრძოლის ველზე. საგანგებოდ აღნიშნავდა არტილერიისტი მეთაურების ალექსი პირმისაშვილის, სერგო თომაიას, იაშა ჭელიძის, ოთარ როინიშვილის და სხვათა გულადობასა და მოხერხებულობაზე მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში. ქებით იხსენიებდა ახალგაზრდა მეომრების: ქებაშვილის, ჩიტინის და მწვერავი. დარსალიას გაბედულებას ღამით მტრის ზურგში მოქმედებისას. ეს მართალი სტრიქონები იყო და ამიტომაც მიდიოდა იგი ახლოს მეომართა გულებთან.

გაზეთის მეორე გვერდის წითლად დაბეჭდილი ქული მოწოდებით მიმართავდა დივიზიის პირად შემადგენლობას: „უფრო მტკიცედ და გაბედულად განვაგრძოთ შეჯიბრება პიტლერელთა გასანადგურებლად“, და საბრძოლველად უხმობდა თავის მკითხველებს. ამ გვერდზე დაბეჭდილი მასალებიდან ვგებულობთ ლეიტენანტ მხეილ წილოსნის მენაღმტყორცნეების, კაპიტან გრიგოლ კვანტალიანის ბატალიონის მეომრების, უმცროს ლეიტენანტ ილია გულაძის ოცეულის მწვერავების საგმირო თავგადასავლებს.

უფროსი ლეიტენანტი გ. ლომიძე წერდა მებრძოლ ჩხენკელის მამაცობაზე, რომელმაც ერთ-ერთ ხელჩართულ შერკინებაში სამ ჰიტლერელს აჯობა. მებრძოლ ლომისძის

კორესპონდენციაში ლაპარაკია კომუნისტ წულუკაძის შესახებ, რომელიც ჩინებულად ფლობდა იარაღს... ასეულის პოლიტხელი კ. მუკბანიანი კმაყოფილებით ლაპარაკობდა კომუნისტები მებრძოლების — 1918 წლიდან პარტიის წევრის პახუმ სისარულიძის, დოლიძისა და კეჭაყაძის შესახებ... უფროსი პოლიტხელი ჯაოშვილი მეომრებს აცნობდა მამაცი ნაღმტყორცნელების ა. ხომერკის, შ. ზაქარაიას და გ. წოწორიას წარმატებებს, სამაგალითო ჯარისკაცურ საქმეებს.

აღსანიშნავია კაპიტან გრიგოლ კვანტალიანის წერილი — „ერთი ბრძოლის მდიდარი გამოცდილება“, მასში ლაპარაკია დიდი და მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტის, რაიონული ცენტრის — ქვემო ჩეგემის გათავისუფლებაზე. ამ ბრძოლაში მონაწილეობდა ლეიტენანტ აკაკი თოფურიას ასეულიც. დიდი ვაჟაკობა გამოიჩინეს, თავი ისახელეს პირველი ბატალიონის მეომრებმა, რომლებსაც მამაცი და უნარიანი პოლიტხელი ვლადიმერ ლურსმანაშვილი ხელმძღვანელობდა.

კაპიტან კვანტალიანის წერილი გვახსენებს მეორე ბატალიონის მეთაურის, მისი კომისრის დავით კუხინაიძის, შტაბის უფროსის სერგო ბურკაძის, პარტორგის გრიგოლ ხუხუკიაძის და სხვა მამაც მეომართა გულადობას და მოსაზრებულობას.

წინა დღეს ნომრისათვის სახელდახელოდ დღიწერა ძველი ბოლშევიკის, პოლიტმებრძოლის, სათნო ადამიანის მაღნახ ფარულავას ლექსი „პოლიტხელ ვ. ლურსმანაშვილს“.

...იმხანად ბაქსანის ლამაზ ხეობაში, მაღალმთიან დასახლებულ პუნქტში — ბილიშში გვექონდა რედაქციის ბინა-ბანაკი. შენობის კუთხეში, თივაზე, დამქდარა მაღნახი, მუხლებზე ფირფიცრის ნაჭერი უდევს და გამალებით წერს... თბილ, მართალ სტრიქონებში სურს, თქვას ის ამბავი, რაც სმენია, უნახავს. აქ, ფრონტზე, ბრძოლაში დღეს, გუშინ თუ გუშინწინ... ამბავი მკაცრი, მაგრამ სასახლო და საამყო ბრძოლისა, რომელიც გადაიხადეს ჩვენი დივიზიის მეომრებმა. ერთოდ, უშეშარმა და გულადმა პოლიტხელმა ვლადიმერ ლურსმანაშვილმა.

მარად მუშაობდნენ ჩვენი სტამბის ასოთამწყობები — ნიკოლოზ ცინცაძე, ვალერიან ჭაქარიძე, არმენ პაპიაშვილი, რაუდენ მარუაშვილი, მბეჭდავები: არტემ სააკოვი, ნიკოლოზ შეროზია და სერგო ზედგინიძე, მათი სწრაფი და უზადო ხელებით აწყობილი ნომრის მასალები მზადაა, გვერდები დაკაბადონებულია, მაგრამ მაღნახს აგვიანდება... მაინც დავტოვეთ მეორე გვერდზე კუთვნილი ადგილი... რედაქციის მუშაკებმა ლუკიანე დგებუაძემ, კომანდო დობორჯინიძემ, ნოე კაკუშაძემ, ამ სტრიქონების ავტორმა უკვე მოათავეს გაზეთის გვერდებზე მუშაობა. აი, მისი პირველი გვერდი მზადაა. საბოლოოდ წაიკითხული, ჩასწორებული, დასაბეჭდად ხელმოწერილი, შალე მისი ბეჭდავ დაიწყო მოძრავ საველე სტამბაში.

ყველაზე ბოლოს მაღნახის ლექსი გადაეცა ჩვენს ხელმარჯვე ბიჭებს და ხელდახელ აწყობილი მისთვის განკუთვნილ ადგილს იკავებს. ანაბეჭდს თრთოლვით, ჩუმად კითხულობს ავტორი, დღევას — ყველაფერი თქვა თუ არა ისე, როგორც ეკუთვნის მებრძოლ კაცს, რომელმაც დიდი მხედრული ნიჭი, გამბედაობა, ვაჟაკობა და სასურიაობა გამოიჩინა ფრონტზე. მალე ვლადიმერ ლურსმანაშვილს, ალექსი პირმისაშვილსა და ვლადიმერ კანკავასთან ერთად, მაღლიერმა სამშობლომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1942 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიანიჭა.

ჩვენი დივიზიის გაზეთის „წინ გამარჯვებისაკენ“ 1942 წლის 7 ნოემბრის ეს საოქტომბრო-საბრძოლო ნომერიც ერთ-ერთ მატანედ დარჩა მომავალ თაობებს, ხოლო მამაცი და გულადი #92-ე ქართული მსროლელი დივიზიის სახელი დამსახურებულად აღიბეჭდა ჩვენი სამშობლოს საგმირო საქმეთა ისტორიაში.

მელოდე და სიკვდილის ამოვიყრი ყინს,
მელოდე და შივალ მე, დაებრუნდები შინ.
ვისაც არა რა სწამდა და ბაძვდა სხეებს,
დაე, სუყველაფერი დაბარალს ბელს.

კონსტანტინე სიმონოვი.

ცრემლმორეული იღვიძებდა ხოლმე დილით. რაღაც მტანჯველი და შემზარავი სდევნიდა ძილში. ველური და საშინელი სახეები ეღრიალებდნენ. ზოგჯერ დედაც ესმოდა, სასთუმალთან უჭიდებოდა და ტირილი, თანაც ვიღაცას ეძახდა გაუთავებლად. მარიამს ეწადა, დაემშვიდებინა, მაგრამ ხმის ამოღება არ შეეძლო, არც თვალის გახელა. ხელებიც რაღაც უხილავი ძალით ჰქონდა შებოროტილი.

სიმირებს პირქუში განთიადები ენაცვლებოდნენ. ქალი ძველი საბნის ქვეშ გორგალივით გახვეოდა ხოლმე და სიცივისგან იბუზებოდა. აგონდებოდა განვლილი დღე, კვირა, თვე, წელიწადი და... დარდისაგან გული ეკუმშებოდა. ნეტავ სად არის ახლა მისი სოლომონი? ჯოჯოხეთის რომელ მხარეს მიაქროლებს თავის საბრძოლო ჯავშნიან მანქანას? ხანდახან მაინც თუ ფიქრობს ხოლმე ამ ქალზე? ო, რა ძალიან აკლია მისი სულის სითბო! გაიღიმებდა და ეტყოდა ხოლმე: ნუ დარდობ, ყველაფერი გაივლისო. მისი იმედიანი სიტყვები და სიცოცხლის სიყვარული მარიამსაც იმედი ავსებდა და მომავალ ცხოვრებაზე ამაღლებულ და მშვენიერ გრძნობებს უღვიძებდა. ყველაფერს საღად უყურებდა და ნათლად ხედავდა.

მასთან ყოფნის დროს ბედნიერი იყო, მაგრამ წავიდა და მარტოდ დატოვა. წავიდა ომში თავისი ვაჟაკობის დასამტკიცებლად — ჩვენს სამშობლოს დასაცავად. ქალი კი ვალდებულია, აქ დარჩეს, აქ იცხოვროს და აქ დაელოდოს. ეს იმიტომ, რომ ჭარბსაკვი ვერ დაბრუნდება, თუ შინ არავინ ელოდება მთელი გულითა და სულით.

თავიდან სულელურად დაიწყო ყველაფერი, ამაში კი მარიამმა დამნაშავე. ერთბაშად შეკრთა კიდეც ამ ამბის გახსენებისას...

პატარაობისას სახლობანას თამაშობდნენ და დიასახლისი ყოველთვის მარიამი იყო. მერე, როცა წამოიწარდნენ, სოლომონი ეზოში შემოიბრუნდა ხოლმე და მოთმინებით ელოდა, როდის გაიდვიძებდა მარიამი, მისი ხანდომიანი სახე როდის გამოანათებდა ფანჯრიდან და შუბლშეკვრით როგორ იკითხავდა ვითომცდა უკმაყოფილოდ, „შენ ისევ აქ ხარ?“. ფეხდაფეხ დასდევდა სოლომონი და „სხვეებისგან“ იცავდა. მას მოსწონდა მისი უსიტყვო დევნა, მაგრამ არ იმჩნევდა. უფრო მოგვიანებით, როცა მისი სილამაზე წყნარად და შეუმჩნევლად იღებდა ქალურ მომხიბვლელობას, პატარაქულის შემოგარენში შეუყვარდა სეირნობა. განსაკუთრებით მაშინ უყვარდა იქ სიარული, როცა გაზაფხულის ბუნება იღვიძებდა და უცილდებოდა ზეიმობდა სიცოცხლედ.

სოლომონმა იცოდა მისი ეს ჩვევა და ბილიკთან უღარაჭებდა, მერე ერთგული მცველივით გვერდით აედევნებოდა და ასე მიჰყვებოდა შეუმჩნევლად. ერთხელ შეაშინა კიდეც: მიწაზე დაწვა და თავი მოიმკვდარუნა. ეს რომ მარიამმა დაინახა, ყოველგვარი სიამაყე დააფიქსა, მასთან მიიქრა და კინაღამ ატირდა კიდეც, მაგრამ, როცა ნახა, რომ მწარედ მოატყუა, იწყინა და მთელ კვირას ხმას აღარ სცემდა.

ბიჭი გოგოზე ორი წლით უფროსი იყო და, ცხადია, მეტი იცოდა, განსაკუთრებით ისტორიაში. როცა სოფლის საიმედო სიმაგრედ აღმართულ ბილანიშვილების კოშკზე აღიოდნენ, საიდანაც თბილისი მოჩანდა, საინტერესო ამბებს უყვებოდა ჩვენს ლეგენდარულ წინაპრებზე, რომლებიც სისხლით იცავდნენ საქართველოს უცხოელი დამპყრობლებისგან.

„იცი, თუ არა, ჩვენს სოფელს რატომ ჰქვია პატარაქული?“ — ეკითხებოდა და თვითონვე უპასუხებდა: „პატარაქული“ პატარა ძაღლებით

ძღვევას ნიშნავს. ჩვენს სოფელში მამაც ხალხს უცხოვრია. მართალია, უბრალო მიწის მუშები ყოფილან, მაგრამ თურმე მამაცურად ხვდებოდნენ გარემომხდურებს და „პატარა ძაღლებით“ იმარჯვებდნენ, მაგრამ... ამ სოფლის სახელში სხვა აზრსაც სდებენ... — განაგრძობდა და თვალბრუნებდა პატარა ეშმაკუნები აუთამაშდებოდნენ ხოლმე: „პატარაძაღვის სავანეა“. ოდითგანვე საოცარი სილამაზის ქალიშვილები ჰყოლიათ აქაურ გლეხებს. ისინი ერთგული მეუღლეები და მოსიყვარულე დედები ხდებოდნენ და ამიტომაც ყველა ბედნიერი აქაურ საპატარაძლოს ეტანებოდა. მეც რომ ასეთი ბედი მიქნებოდა...

მარიამი იმორცხვებდა, წითლდებოდა და გარბოდა.

1939 წელს სოლომონ ჭილაური ჭარში გაიწვიეს. განშორებისას საცოლდე უწოდა, მაგრამ

სუსული

ნიკა კვიციანიძე

მარიამმა ეს ხუმრობად ჩათვალა და სერიოზულად არ უფიქრია. მათი დამოკიდებულება მისთვის ისევ ბავშვურ თამაშად რჩებოდა. მერე ის გრძელგრძელ წერილებს აწერებოდა ჭარსადან. ეს წერილები მარიამს მეტისმეტად მალაფარდოვნად და არასერიოზულად იჩვენებოდა, რომლებსაც არაფრისმთქმელი ფრაზებით პასუხობდა და ცოტათი დასცილიდა კიდეც.

რას ვიწამო, თავქარიანია ახალგაზრდობა! როდესაც ჭერი კიდეც არ შეგიძლია იმის შეფასება, რაც გაგაჩნია, როდესაც სინამდვილეს ოცნებით ალამაზებ და გული უხილავის შეცნობას ჩქარობს. მარიამი ყველაფერს აიდევალბდა. სიყვარული მას რაღაც არამიწერი, არაბუნებრივი რაღაც ეგონა. ამიტომაც დაუინებით ელოდა თავის ფანტაზიაში წარმოსახულ სიყვარულს, როგორც ყვავილი ელის შვის ამონათებას. ის ვერ უგებდა ამხანაგ გოგონებს, ძალიან ადვილად რომ უყვარდებოდათ თანაკლასელები. ბუზღუნებდა კიდეც: გამოსაშვები კლასი კი არა, საქმროებისა და საცოლეების ბრბოაო და ოღენა შურდა კიდეც.

ორმოცდაერთის ივინი იღვა. მოულოდნელად...

ეს ზარი ახლაც ხშირად ესმის ძილ-ბურანში. ყვირის, გამოუვად მდგომარეობაში ვარდება და შიში იპყრობს. ზარი ყოველთვის სკოლის ეზოში ეკიდა და გაკვეთილების დაწყება-დამთავრებას იუწყებოდა. მისი მოკლე და მხიარული წკრიალი შორს იჭრებოდა ბედნიერების მათუწყებლად. ამ დილით კი ზარმა ხანგრძლივი და შოფთიანი კენესა გამოსცა. მთელი სოფელი საბჭოსკენ გარბოდა და ყველას უბედურების წინათგარძნობა დაუფლებოდა. მარიამს კარგად ახსოვს, შეშინებულმა დღემ რომ სახეზე ხელები აიფარა, მამამ კი მძიმედ დახარა თავი.

ასე შემოიჭრა ომი პატარაქულში. მასთან ერთად შემოიჭრა მარიამის გულში სიყვარულიც. უცნაური კია. გამოდის, რომ ომს უნდა უმადლოდეს თავის სიყვარულს. რა უსამართლობა და შეუთავსებლობაა. მარიამს შეეშინდა ომისა, მაგრამ თავის თავის კი არა, სოლომონის გამო შეეშინდა.

სადამოთი წერილი მიიღო. იწერებოდა, მოწყენილი ვარ, მაგრამ, ნუ იღარდებ, მალე ჩამოვალ. გადაკვრით ქორწილსაც ასხენებდა ორიოდ სიტყვით. წერილს წერდა ბედნიერი აღმანი, რომელიც შინ დაბრუნებას აპირებდა და არ იცოდა, წინ რა ელოდა.

ადლევიით და გულდასმით კითხულობდა მარიამი. თავის თავს უსმენდა და ვერ გაეგო, ასე ძვირფასი და ახლობელი რატომ გაშინდა რიყო ის აღმანი, რომელსაც ჭერი კიდეც უწოდებდა. ერთბაშად დაიწყო მხედრობა მისი ნახვა, უნდოდა, ეთქვა, რომ ტყუილია მასთან.

იქნებ სჯობია, თავისი განცდა ვინმეს გაანდობ? მაგრამ ვის? ამხანაგ გოგონებს? ისინი მხოლოდ დასცილებენ მის ახირებას. თანაკლასელები ბიჭებს? ისინი ახლა საბჭოს წინ გარინდულ მწკრივში იდგნენ და მოხალისეებად მიდიოდნენ. მიდიოდა ვანო შუკაკიძე, შალვა ბილანიშვილი, სანდრო გურგენიძე, შაქრო შუკაკიშვილი... ბიჭების სახეებზე ხიამაყე და სერიოზულობა იკითხებოდა. მათ ხომ ქვეყნის დაცვა მიანდო ხალხმა. ისინი დარწმუნებულნი არიან, ერთბაშად შეასრულებენ ამ დავა-

ლებას, რამდენიმე თვეში მტერს დაამარცხებენ და გამარჯვებულნი დაბრუნდებიან.

— კოტე, ძმაო, შენც მაგათთანა ხარ?

პატარაქულიდან საგარეჯოს რაიონულ ცენტრამდე შედიოდა კილომეტრია. იქ რკინიგზის სადგურია და იქიდან იწყება განშორება. ერთი თვით? ერთი წლით? თუ მთელი სიცოცხლით?

ახალწვეულები მხნედ მიიბრუნებენ მწყობრში. მათ გვერდით კი ბორბიკით მიდიან ნათესავები და მახლობლები, საცოლეები, რომელთაც ჭერაც ვერ იგემეს პირველი კოცნის სისხარული.

— ვახო, შვილო, არ გამიცვიდე, თბილად ჩიცვი!

— ხშირად მომწერე, შაქრო, დაგელოდები, გესმის?!

— სად მიდისარ, ჩემო ბიჭო, უეცრად რომ მოგკლან?!

— ნუ ტირი, ეთერ, დავბრუნდები!

მარიამი კოტეს მიჰყვება სირბილით. სულს ძლივს ითქვამს, აზრი ეფანტება. თან მიხტის და თან ძმას უყვება სოლომონზე. ტირის, სთხოვს და ევედრება, რომ მოძებნოს სოლომონი და გადასცეს, რომ მარიამი ელოდება და ყოველთვის დაელოდება, რაც უნდა მოხდეს...

ძლივს ადგა ლოგინიდან, სწრაფად ჩაიკცა. იბტუნავა კიდეც, რათა გამოთბარიყო, მაგრამ მაინც სიცვივა. წელს მკაცრი ზამთარია. მამა ქალაქში მშენებლობაზე მუშაობს და წასვლისას მკაცრად გააფრთხილა, შეშა დაწოგო. ზოგავდა, მაგრამ მაინც გათავდა. ახლა კი ტყეში წასვლის გარდა სხვა გზა არ არის. არადა, კერა ჩაქრება და სოლომონსაც კი ეწყინება. ეტყვის, მე აქ ვიბრძვი, სისხლს ვღვრი და შენ კი ისე გაზარბაცებულხარ, ჩემს სახლს კერა გაუციეო. დაიხ, ასე ეტყვის, ჩემს სახლსო.

ახლავე ტყეში, ჩქარა ტყეში, სანამ თამარი სკოლიდან დაბრუნდება! წასაუშვება კი მერეც შეიძლება. რატომ არ გააღვიძა დაიკომ? დამოუკიდებლობას ავლენს? ცდილობს, რომ მალე გაიზარდოს. ან იქნებ უბრალოდ შეებრაღა? მარიამმა ჩაფიქრებით გაიქინა თავი. ნეტავი რით ისაუშმა თამარმა? კარტოფილი, ახსოვს, რომ წუხელ არ დაუდგამს. ალბათ, იმ პურის ნატყით, შავი ღლისთვის რომ უფრთხილდებიან? მარიამმა კარადა გამოხსნა და პური ისევ იქ იდო. მშვიტი წასულა... რა ხასიათისაა!



მატარებელი თინათინი სამსოვნაში

როცა თამარი კომკავშირის სასკოლო ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს, სიხარული დაეუფლა. მისი გაუბედობა ერთბაშად გაქრა და მტკიცე, ნებისყოფიანი გოგოდ გადაიქცა. შინ გვიან ბრუნდებოდა და მაშინვე წვებოდა, დილით კი ადრე დგებოდა, ქაღალდების ჭეჭვას იწყებდა და რაღაცას წერდა. მერე ისევ მთელი დღით იკარგებოდა. მარიამი არასოდეს ტუქსავდა, როგორც ეს უფროსმა დებმა იციან ხოლმე. იცოდა, თამარი კომკავშირელებთან და პიონერებთან ერთად რომ ომში დაღუპულთა ოჯახებს ეხმარებოდა, მოხუცი მშობლების მაგივრად წერილებს გზავნიდა ფრონტზე და შემდეგ კი კოლმეურნეობაში მიდიოდა: მინდორი, ფერმა.

ერთხელ ნატირალევი დაბრუნდა თამარი: სკოლაში მოსწავლეები მეომრებისთვის თბილ ტანსაცმელს აგროვებენ და ჩვენ არაფერი გვაბადა, რომ გავგზავნოთ. მაშამ ყურადღებით მოუხმინა და დაამშვიდა, რაღაცას მოვიფიქრებო. აჰა, რა თქმა უნდა, არ დაიჭრა და ასევე ტრემლიანი თვალებით დაიძინა. როცა გაიღვიძა ნახა, რომ თავის ჩანთაზე სუფთად გატყინებული წინდები ეწყო. საიდანო, გაიკვირვა, რაკილა წინადღეს იქაურთა მთლიანად გადააბრუნა და ვეადაფერი იპოვნა. მე მქონდაო შენახული, უბასუხა მაშამ. გოგამ ვერც გაიგო, მაშამ რომ მთელ ღამეს კემსავდა და რეცხავდა იმ ერთადერთ წყვილ წინდას, რომელიც თვითონ ეცვა.

მარიამი მაგიდასთან მივიდა, რომელზეც სოლომონის გამოგზავნილი სამკუთხა ფრონტული წერილები ეყარა. თუმცა უკვე ზეპირად იცოდა, მაინც ხელახლა გადაიკითხავდა ხოლმე. ასე უფრო შეგებას გრძნობდა.

ადრინდელ წერილებში სოლომონი ყველაფერზე ნაწად და გულითადად იწერებოდა. სიყვარულზე ლაპარაკობდა. მერე და მერე კი სინაზე ხიკატრემ გადაფარა და ლაკონიურ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სტრიქონებში ომის სიმკაცრე და მწუხარება იკითხებოდა.

„როგორ არის ჩვენი სოფელი, ვენახები, ბაღები, ეზოები, — კითხულობდა სოლომონი, — ისევ ძველებურად ჰყვავიან თუ... აქ ყველაფერი ცეცხლით არის გადატრუსული და ძნელი დასაჭერებელია, სადაც რომ იყოს სიმყუდროე და მშვიდი ცხოვრება. ო, რა ბედნიერები და უზრუნველები ვიყავით და როგორები გავხდით! ბრძოლის დაწყებამდე სულ შენზე ვფიქრობ. კიდეც თუ შევხვდებით? ვცდილობ, მოვიშორო ეს აზრი, მაგრამ ზოგჯერ არ გამოდის. იმდენი ამხანაგი დამედუბა... გუშინ ვლოდიაც დაიღუბა... ადრე გწერდი ამ ბიჭზე. მხიარული იყო, მშვენივრად მღეროდა. ცეცხლმოდებული ტანკიდან ცოცხალმკვდარი გამოვათრიე. ტიროდა მომაკვდავი. თავს კი არ დასტიროდა, სიძულვილითა და წყენით ტიროდა. ტიროდა იმიტომ, რომ ცოტანი დახოცა. სხვა არაფრის დარდი არ მიჰყვებოდა, რაკილა ბავშვთა სახლში იყო გაზრდილი და არავინ რჩებოდა.

უღმობელზე უღმობელი ომია. რამდენი მწუხარება მოაქვს ხალხისთვის! მას მხოლოდ ერთადერთი კანონი აქვს — სიკვდილი! მაგრამ მე არ მინდა, ამ კანონს დავემორჩილო. თუმცა, ყოველ წუთს ვხედავ, მაინც ვერ ვეგუბები სიკვდილს. ვიბრძობ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და დავხოცავ, დავხოცავ, დავხოცავ... ეჭვი არ მებარება, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. შენი წერილები და შენი ერთგულება ძალ-ღონეს მმატებს.

წერილებს გულთან ვინახავ და არასოდეს ვაშორებ. სანამ შენ მელოდები, შე არ მოგვკვდები!.

მარიამი უბასუხებდა, რომ წერილებს ვეუბლიყო, რომ მათი სოფელი მთელი სულდგმულობდა და არაფერი იყო. მთელი გულსრულად ემართ, ფაშისტები მამაცურად ეუბნებოდა და სოფელს არაფერი გაუჭირებოდა. მარიამი კი მისით იამაყებდა...

მერე უფრო იშვიათად მოდიოდა წერილები. უკანასკნელი ხუთი თვის უკან მიიღო. იწერებოდა, რომ დაჭრილი იყო, მაგრამ ახლა ისევ მწყობრშია, სთხოვდა, ჩურჩხელა გაეგზავნა, თუ კიდეც შემორჩათ. წერილი მოკლე და თავშეკავებული იყო. თითქოს რაღაც აწუხებდა და მასთან გამხელას ვერ ბედავდა.

მარიამმა წონასწორობა დაკარგა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ყოველდღე ახალ ამბებს ეუბნებოდა დეიდა სონიას — სოლომონის დედას, მაგრამ ბასუხად მღუმაჩება ხვდებოდა და ცრემლიან თვალს ხედავდა. ბოლოს დედაც ვეღარ იღებდა წერილებს.

მაინც რა მოხდა? იქნებ წერილები გზაში იკარგება ანდა მცდარი მისამართით იგზავნება? იქნებ სოლომონს წერილების დრო აღარა აქვს ან მიიმეღ დაჭრილია და გამოჯანმრთლებას ელოდება? ან იქნებ უბრალოდ, დაივიწყა კიდეც და სხვა ვინმე გაიცნო ომში?

ამგვარი გამოცანებით ირთობდა თავს და არამც და არამც სხვა საშინელებზე არა ფიქრობდა. ერთხელ კი ის ამბავი გაასწავლა, სოლომონმა რომ თავი მოიშველდა. წარმოიდგინა, ვითომც სანგარში წვეს ყველასგან მიტოვებული, არავისთვის რომ საჭირო აღარ არის. სასოწარკვეთილება გუნდასავით ყელში მოაწვა და კინაღამ დაასრლო. ოღონდაც გადარჩეს, ყველაფერზე თანახმაა, ოღონდაც ცოცხალი გადარჩებოდეს...

კუტიკარის უკან გამჭვალავი ქარი სისინებდა. უშამაკაცოდ დარჩენილ სოფელს მოერია, მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს გაუთამამდა.


მარიამი თავის ძნელ გზაზე გვიდა. ღობეებსა და გაშიშვლებულ ხეებს ეკვროდა. როდისღა გაზაფხულდება, ნეტავი? თითო-ორილა გამველი ხვდებოდა. ვერავინ ვერაფერს ამოიკითხავდა მათ გაფრმკრთალებულ და თითქმის დაბრმავებულ სახეებზე. ასე გამოუყურება ის ადამიანი, რომელშიც მწუხარება იმარჯვებს სიხარულზე და ამ მწუხარებით გული უქვავდება. ლანდალქცული ყოველი მათგანი, თითქოს ქარისგან გამოგდებული, საითღაც მიდიოდა და მხოლოდ თავის საფიქრალზე ფიქრობდა.

ყველა შემხვედრი ნაცნობი იყო მარიამისთვის, მაგრამ ვერც ერთს ვერ სცნობდა.

ქეთევან გაგნიაშვილი... დაქვანა და წელში მოხარა. საით არის ახლა მისი ვანო, რომელ ფრონტზეა? როგორ ვერ შეხვდნენ ისინი ერთმანეთს. ორმოცდაორში დებუმა მიიღო, თბილისში ჩამოვივლიო. ო, როგორ გახიარა! მთელ ღამეს იარაკინიგვის სადგურამდე. სად შემთხვევით ტრანსპორტს მიჰყვებოდა, სად ფხები იარა, ინერვიულა, იშინებოდა და დილით ხუთ საათზე მაინც მიაღწია სადგურს. იღვა მთელ დღეს და გაფაციცებით უყურებდა ყველა მატარებელს, რომლებიც მოდიოდნენ და მოდიოდნენ გაუთავებლად. დღე იწურებოდა, მაგრამ იმედს არ კარგავდა, რომ უთუოდ ჩამოვიდოდა. და, როცა ბინდისას ყინვით გათოშილ ახალგაზრდა ქალს კომინდანტმა აუწყა, რომ ის მატარებელი, რომელსაც ელოდა, შეუჩერებლად წავიდა, ქეთევანმა გონება დაკარგა.

ეს ვინღა? ანეკო ტოკონიძე — მასწავლებელი. რა ძალიან ჩამოხმა, ღმერთო, მისი ნიჟოზომ დაიღუბა და ის ვიღას ელოდება? სამი ბავშვი დარჩა შესანახი. ნეტავი რა უნდა აჰამოს? ისე ჩაუარა, თავიც არ აუწევია.


(დასასრული 82-15 და 82-16 გვერდებზე)



ურნალ „დროშის“ რედაქცია, თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, გულითადად მიესალმება ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ილია რურუას მისი დაბადების 60 წლისთავის გამო.

ჩვენი ურნალის მკითხველები მას იცნობენ, როგორც მშობლობა-მინიატურების შესანიშნავ ოსტატს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს. ილია რურუას მოთხრობების კრებულებმა: „როცა ცხოვრებას შეიტკობ“, „პირველი ხილვა“, „წმინდა ალაგი“, „მზის ყურე“ და სხვა ნაწარმოებებმა მკითხველთა ყურადღება და სიყვარული დაიმსახურეს.

ვუსურვებთ იუბილარს დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს და ნაყოფიერ შემოქმედებითს მოღვაწეობას.



ილია რურუა

მოთხრობა



ქართველი უფლისწული უკვე მთელი ათი წელი იტახებოდა შვედებთან. თავიდანვე ვერავინ წარმოიდგენდა, ტყვეების გამოხსნა ასე თუ გაძნელებოდა. მოლაპარაკება პეტრემ მაშინვე დაიწყო, მაგრამ უშედეგოდ. არც ტყვეთა ჭირისუფალნი მსხდარან გულხელდაკრეფილნი, არჩილ მეფემ შვედების მბრძანებელს თხოვნის ბარათიც კი გაუგზავნა, მაგრამ კარლოსის გული ამანაც ვერ მოალობო. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ იგი ქართველი უფლისწულის დაბევებიდან განსაკუთრებულად ბევრს გამოელოდა. ჯერ იყო და, მისი განთავისუფლებისათვის ათი კასრი ოქრო მოითხოვა, შემდეგ პოლტავის ბრძოლაში დატყვევებულ სამოც ოფიცერში გაცვლას დაჟებულა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, პირს შლიდა.

მწელი მისახვედრი არ იყო, რომ სახელოვან ტყვეს კარლოსი ვერ ელეოდა დაფარული პოლიტიკური მოსაზრებებით. ისე ჩანდა, დიდი იმპერატორის შექმნის წადლით შეპყრობილი, იმასაც ვარაუდობდა, რომ ალექსანდრე ბაგრატიონების ტახტზე თვითონ აეყვანა და ამ გზით თავის მოკავშირე თურქეთს უშუალოდ დამეზობლებოდა. სამეფო კარზე ალექსანდრეს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ. კარლოსის პირად მხატვარს საპატიო ტყვის პორტრეტის შექმნაც კი დაავალეს, კარისკაცები ხომ ყოველნაირად ცდილობდნენ მისი გულის მოგებას. მაგრამ ქართველი ფრთხილ ქედმოუხრელი აღმოჩნდა. მან აღშფოთებით უარყო ამკარად თუ შეფარულად შემოთავაზებული ყველა წინადადება — გაემხილა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური საიდუმ-

ლობანი, თავისი ცოდნა და გამოცდილება კარლოსის ინტერესების სამსახურში ჩაეყენებინა.

შვედებს ისღა დარჩენოდათ, ტყვეებს სულ უფრო მკაცრად მოპყრობოდნენ. ეს ყველაზე მწვავედ მაინც ალექსანდრემ იწვნია. იგი მალე სტირნდალის სასახლიდან უბრალო ბინაში გადაიყვანეს, შემდეგ კი ერთი ნესტიანი სარდაფი მიუჩინეს თავისი მსახურების გვერდით. უფლისწულსა და მის ხალხს ფაქტიურად აშიშვილებდნენ, რადგან რუსეთის იმპერატორისა და არჩილ მეფის მიერ გამოგზავნილ ფულსა და ამანათებს გზა გადაუკეტეს. ჯანგაბებო, დასუსტებულ დაოსებ ულ უფლისწულს დღეში მხოლოდ ერთხელ აძლევდნენ ჰაერზე ვასვლის ნებას, ისიც ბაღრაგის თანხლებით.

იმ დღესაც ალექსანდრე გასასეირნებლად იყო გასული. სადგომში მხოლოდ არჩილის მიერ საგანგებოდ სტოკჰოლმს გამოგზავნილი მისი უერთგულესი მსახურები — მოხუცი კახელი გლეხი გიორგი და ახალგაზრდა იმერელი ყმა პაპუნა დარჩენილიყვნენ. გიორგი რკინის ცხაურებიან ვიწრო სარკმელთან მოკალათებულყოფა ფარდაგზე და ქალამნებს ბლანდავდა. საკმაოდ მოზრდილ, მაგრამ ბნელ და ნესტიან ნახევარსარდაფში ჰაერი და სინათლე აქედან შემოდიოდა მხოლოდ. დროდადრო გამვლელ-გამომვლელთა ჩრდილი ჩამოწვებოდა წამიერად, რადგან სარკმელს ვიწრო, მოკირწყლული ქუჩა ზედ მობეჭენოდა. სადგომს რკინით შეჭედული მიძიე კარები ჰქონდა დატანებული, რომლის უკან სამსაფეხურიანი ქვის კიბე ილანდებოდა. დარბაზის მთელ მორთულობას შეადგენდა ყრუ კედლის გასწ-

ვრივ მიღგმული გრძელი ტახტი, ხის საწოლი, რომლებზედაც ქვეშაგები ელაგა, აგრეთვე ერთი გახრევილი მაგიდა და რამდენიმე უბრალო სკამი.

— ღმერთმა ააშენოს ვუსტავი. კარგი ტყავი გამომიგზავნა. ერთი წყვილი ქალამანი შენც გამოგივა, იმერელო.

— ევროპაში სწორედ იმისთვის გადმოვიკარგე, რომ ქალამნებში ვიარო, — მიუგო ტახტზე ნებივრად გაშოტილმა პაპუნამ.

— არ გინდა და ნუ გინდა. სამერმისოდ შევიწახავ.

პაპუნა ცქვიტად წამოჯდა და მოხუცს თვალები ჩააშტერა:

— რაფა, კაცო, შენ კიდევ დიდხანს აპირებ აქ დარჩენას?

— ვიშვებენ რო?

— არ მიშვებენ და გევიპარები.

— მერედა, შვილოსა, ეგრე ადვილია აქედან გაპარვა?

— შენ მე სტამბოლამდე მიჩვენე გზა და დანარჩენი მე ვიცი.

— სტამბოლამდეო. აბა ჭკუა ამას კითხე!.. აქამდე არ გაგიგია, ყველა ზღვისა



ნიკო ნიკოლაძე დიდი პაპულიანი

დაბადებიდან
140 წლისთავის
გამო



სურათზე: ნიკო ნიკოლაძე მეუღლესთან და შვილებთან ერთად.

განა თქვენ ნაკლებად ირჯებით, ბატონი-შვილო? ჩვენც ამიტომ გვერთგულებით ეგრე რიგად.

— ეგეც სწორია, მაგრამ ჩვენი სინდისი ყოველთვის რაღაცით არის დამძიმებული.

— ეგეთი რა ცოდვა გაქვთ, ბატონი-შვილო?

— განა ცოდვა არ ვქენ, მილოსლავსკის ნორჩი ასული რომ შევირთე ჯერაც დაუღვინებელმა?.. ცარეგნა სოფიოს დროს მილოსლავსკები მთელ რუსეთს ატრიალებდნენ. მათთან დამოყვრებაც იმიტომ მოვიწადინეთ. მალე ყველაფერი უკულმა წავიდა. მილოსლავსკები დაამხეს და მეც პეტრეს გავყევი უცხოეთში. ჩემი საბრალო ცოლის დარდი, რაკი არ მიყვარდა, სულაც არ გამყოლია, თავაწყვეტილად ვლადობდი, ის კი უიღბლო სიყვარულით დამჰქანარი, ნადრეგად შთავიდა საფლავს... იქნებ ამიტომ მეცხადება სიზმარში ასე ხშირად, იქნებ ამიტომაც დამსაჯა ღმერთმა.

— თავზე ზედმეტს იბრალებთ, ბატონი-შვილო. თქვენი გულის სიკეთე რომ კარგად ვიცი. სამაგიეროდ, დავითაშვილის ქალი ხომ ნამდვილად გიყვართ?

— ჩემებრ აწეწილი ცხოვრების პატრონი არც იმის ცოდვაში უნდა ჩავმდგარიყავ... ყველაფერ ამას იმიტომ გეუბნები, ღმერთმა სიკვდილის წინ მღვდელი არ მაღირსა, რომ მისთვის აღსარება მეტქვა. შენ მაინც იცოდე, რომ საფლავში დარდად არ ჩამყვეს მონანიების უთქმელობა.

— მაკვირვებს თქვენი საუბარი, ბატონი-შვილო!.. სამაგისო რა გჭირთ... ღმერთი, ალბათ, ჩვენც გადმოგვხედავს, აქ არ ჩავგტოვებს...

ვილაცამ ნელა დააკაკუნა. გიორგიმ კარი გამოაღო. ივანე ტრუბეცკოი იყო. მის ბრწყინვალე ჩაცმულობას და იერს ნაკლებად ეგუებოდა დაღვრემილი სახე. რაღაცნაირი გაუბეღობაც ეტყობოდა.

გიორგი უმაღლეს კუთხეში მიდგა თავდახრით. ალექსანდრეც ფეხზე წამოდგა აუჩქარებლად.

— ალექსანდრ არჩილოვიჩ, — რო-

გორც იქნა ხმა ამოიღო ტრუბეცკოიმ. — მე მხოლოდ რამდენიმე წუთით. თქვენთან ცალკე სასაუბრო მაქვს.

— მობრძანდით! — თავაზიანად მიუგო მასპინძელმა და გიორგისაკენ გაიხედა, მაგრამ იგი უკვე კიბეზე აღიოდა. — მომიტევეთ, ივანე იურევიჩ, საკადრისად რომ ვერ მივიღებთ. მთელი ჩემი აპარტამენტი ეს გახლავთ... შემიძლია, შემოგთავაზოთ მხოლოდ უბრალო სკამი.

მოსულმა კარი მიიხურა და, როცა მასპინძელი ისევ საწოლზე დაეშვა, თვითონაც ჩამოჯდა სკამზე.

— ჩემმა სტუმრობამ, ვფიქრობ, გაგაკვირვათ, — დაიწყო თავადმა ცოტაოდენი უხერხული სიჩუმის შემდეგ.

— მართალი თუ გნებავთ, კი, — გულმართლად მიუგო ალექსანდრემ. — თუმცა შეჩვეული ვართ, თქვენგან აღარაფერი გვიკვირდეს... გავიგე, თქვენი უზრუნველი ტყვეობა ფრიად სასიხარულოდ დაგვირგვინებულა, ვაჟიშვილი შეგძენიათ. ისღა დამრჩენია, მოგილოცოთ... თუმც დედით შევედია, ალბათ, მაინც რუსეთის შვილად უნდა მივითვალეთ.

— გმადლობთ, ალექსანდრ არჩილოვიჩ, — მშვიდად უპასუხა ტრუბეცკოიმ, თუმცა მასპინძლის სიტყვებში ირონია ფრიად საგრძნობი იყო.

— თუ საიდუმლო არ არის, რა დაარქვით?

— იური... პაპის სახელი.

— იური ივანოვიჩი... იური ივანოვიჩი... წყნარად გაიმეორა ალექსანდრემ. — ვერაფერს იტყვი, ნამდვილად რუსულად ეღერს... მერედა მეუღლე დაგთანხმდათ?.. დავიჯერო, გრაფინიას პატრიოტული გრძნობა სულ არ გააჩნია? განა არ აჯობებდა, ვთქვათ, გუსტავ ივანოვიჩი, ანდა სულაც კარლოს ივანოვიჩი?.. არც შევედის ყურს ეხამუშებდა, არც რუსისას.

— ალექსანდრ არჩილოვიჩ, ნუ გავიწყლებათ, ჩვენ ძველი მეგობრები და თანამებრძოლები რომ ვართ! — თავი ველარ შეიკავა გაღიზიანებულმა ტრუბეცკოიმ.

— მე თქვენს ადგილას ამას არც გა-

ვამკლავნებდი, თავადო, — უკვე სხვა ტონით განაგრძო მასპინძელმა. — უბრალოდ, ტკივილს მგვრის იმის გახსენება, რომ ჩვენი დიდი მეფე თავის უსაყვარლეს ადამიანად გთვლიდათ და მის შოადგილედაც იწოდებოდით რუსული დიდების ქალაქში, სახელოვან ნოვგოროდში.

— ალექსანდრ არჩილოვიჩ, აქ ძველი ამბების გახსენების დრო და ადგილი არ არის, — მასპინძლის ტონით მიუგო ტრუბეცკოიმ. — ნუ იფიქრებთ, რაკი მთელი ეს წლები შევეციის სამეფო კარზე ვცხოვრობ და ხასად შვედი გრაფინია მიზის, გული რუსისა შემცვლოდეს ან სამშობლოსათვის სხვაზე ნაკლებ სარგებლობა მომქონდეს თუნდაც აქ... გთხოვთ, ძალიან თავს ნუ გამოიდებთ იმით, რომ ტყვეობაში ყოფნა მე ჩემებურად ვარჩიე, თქვენ კი თქვენებურად. რა თქმა უნდა, გარეშეთა თვალში თქვენ ჩემზე მეტ პატრიოტად გამოიყურებით.

— როგორ ბედავთ! — ფეხზე წამოჭრა სცადა ალექსანდრემ, მაგრამ მთელ სხეულში ერთბაშად დავილომა ტკივილმა ისევ საწოლზე მიაგდო.

ტრუბეცკოი შეშფოთებული მივარდა მასპინძელს, ხელი მამაკაცური მოუქნელობით; მაგრამ მზრუნველობით გადაუსვა შუბლზე.

— ღვთის გულისათვის, გთხოვთ, დამშვიდდეთ, ძვირფასო ალექსანდრ არჩილოვიჩ... მე საქმეზე ვარ მოსული.

ეს სიტყვები ისეთნაირად იყო წარმოთქმული, რომ ალექსანდრემ თვალი მაშინვე გაახილა და გაკვირვებულმა წაიჩურჩულა:

— ჩემთან, საქმეზე?!

— სწორედ.

— მაპატიეთ, რომ ავღელდი... მე გისმენთ!

საქმე, რომელიც ივანე ტრუბეცკოიმ თავის ძველ მეგობარსა და თანამებრძოლს გაუმჟღავნა, ფრიად საიდუმლო იყო და ტყვეობიდან თავის დაღწევის გემას ეხებოდა.

გზისკენ ქვეყნის

ალუდა არაბული,
რევაზ დანელია,
„დროის“ სპეციალური
კორესპონდენტები.

გორს რომ გავცდით, ამინდს კარგი პირი უჩანდა. შორს, რძისფერ ბურუსში, აქლემის კუზვიით ჩაზნექილი მთები ჩამწკრივებულიყვნენ, რომელთაც ახლად ამოწვერილი მზე დანათობდა. მართალია, ზამთრის სუსხი ჯერ არ მოტეხილიყო, მაგრამ მაინც იგრძნობოდა კარს მომდგარი გაზაფხულის სუნთქვა.

„იკარუსის“ რბილ სავარძელში მოკალათებულ მგზავრს, რომელიც მთელი გზა თვლემდა, გამოელვინა და იკითხა, — სად ვართო, მაგრამ პასუხს არც დალოდებია, ისე დაიწყო ლაპარაკი:

— წლევს ზამთარმა ძაან მოიქნია კუდი. სად გაგონილა, გაზაფხულის პირზე ამისთანა თოვლი. ახლა ხახვი უნდა იყოს დათესილი, ვენახი გასხლული, ხალხი უნდა ტრიანლებდეს ბალ-ბოსტანში. გაწყრა ღმერთი და ეგაა, გახედეთ, კაციშვილი არსად ჭაჭუნებს...

მგზავრი, ჩანდა, თავის წუხილს ამბობდა, მაგრამ კაცი ვერ გაიგებდა, ამ ლაპარაკით, უბრალოდ, თავისთვის იოხებდა გულს, თუ ვინმეს მიმართავდა. ერთი კი ცხადი იყო, ზედაც არავის უყურებდა.

ამასობაში ტყვიავსაც მივაღდექით. გავიარეთ გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ კოპჩია ორსართულიან სახლებს შორის და ავტობუსი სოფლის ცენტრში გავვიჩერეს.

ვიცოდით, რომ გასულ წელს ტყვიავის კოლმეურნეობამ მთელი კავშირის მასშტაბით საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია. გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში და საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა. ეს ფაქტი ბევრისმთქმელი იყო და ჩვენ, რა თქმა უნდა, საინტერესო ამბად გვესახებოდა იმ ადამიანებთან შეხვედრა, რომლებმაც დიდ გამარჯვებას ალალი შრომით ჩაუყარეს საფუძველი.

გულდასმით ვათვალიერებთ

კოლმეურნეობის მიღწევათა წლიურ შედეგებს: წარმოების პროდუქციის თვითღირებულების, ეკონომიკურ და შრომის ანაზღაურების მაჩვენებლებს. ცხადად ირკვევა, რომ წლითიწლობით საგრძნობლად მატულობს კოლმეურნეობის ნაამაგარი, როგორც ქვეყნის ბელელში, ასევე კოლმეურნეთა პირად ბიუჯეტში.

კოლმეურნეობა ქმნის მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. აქ ძირითადად მისდევენ მეხილეობას, მევენახეობას, მეცხოველეობას, მებოსტნეობასა და თავთავიანი კულტურების მოყვანას. ის წარმატებები, რომელთაც მეურნეობის ყველა სახეობაში აღწევენ, განუხრელად ზრდის მოსავლის მთლიან მრცულობას, ამალღებს შრომისნაყოფიერებას. ამის მეშვეობით კი სახელმწიფო დოვლათიც დიდდება და გლეხის ტაბლასაც სიუხვე და ბარაქიანობა ემატება.

მშრომელთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი კოლმეურნეობაში გონივრულად არის გამოყენებული. მატერიალურ წახალისებას აქ მორალური მნიშვნელობაც ენიჭება. მექანზატორების მეტი დაინტერესების მიზნით, მინერალური ზეთებით შეწამვის ხარისხის გაუმჯობესებისა და სამუშაოთა მცირე აგროტექნიკურ ვადებში შესრულებისათვის, დაწესებულია პირველი, მეორე და მესამე ადგილები. საერთო ანაზღაურების გარდა, შემოღებულია დამატებითი ფულადი ჯილდოები, რომლებიც გამარჯვებულებს ეძლევათ. ამავე წესით იღებენ დამატებით ფულად ჯილდოს კომბაინერები და მძღოლები. დანერგულია მეცხოველეობაში მიღებული შედეგების დეკადური, კვარტალური და წლიური შეჯამება, რის საფუძველზეც შემდეგ ხდება ჯილდოების გადაცემა. გარდა ამისა, მოწინავე კოლმე-

ურნეებს, პირადი მიღწევების მიხედვით, შრომა უნაზღაურდებათ გადიდებული პრემიებით. ეს ყველაფერი, ვფიქრობთ, გონივრული და ეფექტური საშუალებაა მშრომელთა მატერიალური და მორალური სტიმულირების თვალსაზრისით. ადამიანებს, მითუმეტეს, როცა თავდაუზოგავად შრომობენ, დიდ სულიერ კმაყოფილებასა და მხნეობას ანიჭებს ყურადღება, გულისხმიერება, შექება.

პრობლემების დადებითად გადაჭრაში, რა თქმა უნდა, ბევრი რამაა დამოკიდებული კოლექტივის ხელმძღვანელზე, მის პირად ნიჭსა და უნარზე; იმაზე, თუ როგორ დააყენებს საქმეს, რა ღონისძიებებს გაატარებს ამ საქმის უკეთ წარმართვისათვის, რა საშუალებებს გამოიხატავს კოლექტივში ერთსულოვნების შესაქმნელად, შრომისთვის ადამიანთა დასარაზმავად.

ხალხის გულისკენ მიმავალი გზა ყოველთვის სიყვარულია, ის სიყვარული, რომელიც გულისნადებს ბოლომდე ჩასწვდება, ხალხის სიხარულსა და ტკივილს პირუთვნელად გაიზიარებს, მის სიკეთესა და ბედნიერებაზე იზრუნებს უანგაროდ.

ტყვიავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რობინზონ ჩინლაძეზე მოკლედ გვითხრეს, — ხალხი უყვარსო!

ჯერ კიდევ ადრე ტყვიავის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ოცი წლის განმავლობაში უცვლელად მუშაობდა ტარიელ ძამელაშვილი. თითქმის მთლიანად მის ხელში აშენდა და გარდაიქმნა სოფელი. ენატკბილი და გონებაშიაზვილი მოსაუბრეა, ბევრი რამის მომსწრე და მცოდნე, ნათელი აზროვნებისა და საოცარი მეხსიერების პატრონი. მდიდარი ბიოგრაფიის კაცი — ტარიელ ძამელაშვილი სოფლის ცოცხალი მატრიანაა.

ვეცნობით კოლმეურნეობის ბალებს, ვენახებს... ადამიანები არ ებუებიან ამინდის ჭირკვეულობას.

— როგორც ვიცით, უკვე მინდვრებში გასვლის დროა, მაგრამ ეს თოვლი, ალბათ, შეაფერხებს საგზაფხულო სამუშაოების დაწყებას, — ვეკითხებით კოლმეურნეობის ადგილკომის თავმჯდომარეს გელა ჩხლაძეს, რომელიც დაწ-

ვრილებით გვაცნობს სოფლის ავ-კარგს.

— ჯერ კიდევ ადრე მოვასწრებთ ყველაფერს და გვადევ...

გელამ სათქმელი აღარ დაამთავრა, რადგან ჩვენ უნებლიედ გავველიმა. უკვე კარგად გაშინაურებულები ვიყავით და გელას ეს არ სწყენია, მხოლოდ კითხვის თვალთ შემოგვხვდა. მოვეყვიეთ ავტობუსში უტენობი თანამგზავრის ნალაპარაკები.

გზადაგზა ვეცნობით მშრომელ ადამიანებს, ვიწერთ მოწინავეთა ბიოგრაფიებს, ეს ადამიანები ქმნიან ახლა თანამედროვე სოფლის ისტორიას, მათი მაღლმოსილი მარჯვენით ცხოვრობს სოფელი ასე შეძლებულად, კოლმეურნეობასაც სახელი მათი მეშვეობით საქვეყნოდ აქვს მოხვეჭილი.

საუკეთესოთა შორის არიან: ილო გიგუაშვილი, ნატალია ჩელტიაშვილი, ნანული ავაქოვა, რამან გიგუაშვილი, ნინო რაზმაძე, ეკატერინე ლაფაჩი, ნინო არჩვაძე, ცილა ავაქოვა, ნადია ელიკაშვილი, შოთა ჯიორანოვი, გრიგოლ ჯიბიროვი, ვახტანგ ქარელი... ყველას ვერ ჩამოთვლილ!

ვნახეთ და დავრწმუნდით: ტყვიავში ყველაფერი კეთდება მშრომელთა საკეთილდღეოდ.


სოფელს აქვს ქართული პურის საცხობი თონე, სავაჭრო ცენტრი, ბაგა-ბალი, საყოფაცხოვრებო კომბინატი, კულტურის სახლი, საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკები, გახსნილია ლადო კეცხოველის სახლ-მუზეუმი. ძველის ნაცვლად მალე ექსპლოატაციისაში შევა ორსართულიანი ახალი საავადმყოფო: შენდება ახალი სკოლა, 3000 ტონის ტევადობის ხილსაცავი მააცივარი. აქვეა შამპანური ღვინოების ქარხანა და ხილკენკროვანი წვენების ქარხანა...

უდავო ამბავია — სახელოვანი შვილები უკვდავყოფენ მშობლიურ სოფელს. ამ მხრივ ტყვიავს ბედი ჰქონია. როგორც ყველასათვის ცნობილია, ამ სოფელში დაიბადა მამაცი რევოლუციონერი ლადო კეცხოველი. აქ აიღდა ფეხი გამოჩენილმა მეცნიერმა და მწერალმა ნიკო კეცხოველმა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, ტყვიავის კოლმეურნეობა მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საპატიო დაფაზეა შეტანილი... და ყოველივე ამის შემდეგ ძალზე გულდასაწყვე-



გრიგოლ სურამელაშვილი — საბჭოთა კავშირის გმირი

საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ სურამელაშვილი
შვილიშვილთან ერთად.



პირას ამალღებულო ადგილი ამოირჩიეს და პოზიციების გა- მაგრებას შეეწყდნენ. მანქა- დახელოდ გახრჩა. მანქანაში ქვემეხები მოვაწყვეთ, ზედ ბა- დეები გადავაფარეთ და მწვა- ნე ტოტებით საგულდაგულოდ შევნიღბეთ. სამშობლოს დამ- ცველთა ყოველი სიცოცხლე ძვირი უჯღებოდა მტერს.

ჩვენი ათეულიდან ოთხნი გა- დავრჩით. ორი ურალელი რუ- სი, აზერბაიჯანელი რამაზანოვი და მე. პირტიტველა, თვრამეტი წლის მეოცნებე ბიჭი იყო რა- მაზანოვი, სიყვარულით რამზას ვეძახდით. გვერდიდან არ მშო- რდებოდა. ფრონტზე ახალი მოხვედრილი იყო და ომისა და ბრძოლის ბევრი არაფერი გაეგებოდა.

გამთენისისა შემოგვიტყეს ფაშისტებმა. ტანკები ჩგუფ- ჩგუფად წამოვიდნენ. ისე და- წყობილები მოდიოდნენ, პა- რალზე გამოსულები გვეგონე- ბოდათ. ტანკებს უკან შედსა- ნტეებით სავსე ჯავშანტრან- სპორტიორები მოჰყვებოდნენ.

მოგმართე ქვემეხი. პირველი ჭურვი ყველას და ყველაფერს გადასცდა და სადღაც შორს აფეთქდა. სამიზნე გადასწორე, მანძილი საშუალოდოდ განვსა- ზღვრე და რამდენიმე ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი ადგი- ლზე გავყინე. ფაშისტები შედ- რკნენ და უკან დაიხიეს. უჩვე- ულო სიჩუქე გამეფდა ნაომარ ველზე. დალოლილ-დაქანცულმა მკლავები ქვემეხს ჩამოვაყრ- დენი და თვალი მივლულე. რა- მზა მხრებზე მომხუტებოდა. შე- ვეხმიანე მებრძოლ მეგობარს. ხმა არ გამცა. უცებ ზურგში სისველე ვიგრძენი. ალბათ და- მჭრეს ძალოსმვილებმა, გავი- ფიქრე და ბეჭებზე ხელი მოვი- სვი. შედეგებული სისხლი შე- მრჩა ხელთ. ციებიანივით შე- მოვტრიალდი. თვრამეტი წლის ჭაბუკის გაყინულ მხერას წა- ვაწყვი. რამზას შუშის თვა- ლები შემოდგომის შებოლილ მზეს მიმტერებოდა.

მაგიდაზე მიმოფანტულა გა- ცრეცილი ბარათები, ძველი ფოტოსურათები, საპატიო სი- გელები, მადლობის ფურცლე- ბი, მედლები და ორდენები... ყველაფერი ეს ეკუთვნის ერთ კაცს — გრიგოლ თედოს ძე სურამელაშვილს, მცხეთის რა- იონის სოფელ ძეგვის მკვიდრს. საბჭოთა კავშირის გმირს, ომი- სა და შრომის ვეტერანს.

ვათვალეებთ ფერგადასულ ფოტოსურათებს, მოწიწებით ვეხებით გმირის ოქროს ვარსკე- ლავს.

ფოტოკორესპონდენტი ბა- ტონ გრიგოლს ადგილს უცვ- ლის, ეხუმრება. უნდა რო- გორმე გააცინოს და მონის- ლულ თვალეებში ჩავუბეჭუდო ღრმა ნაღველი გაუფანტოს.

არაფერი გამოდის. ეზოსთან ავტომანქანა გაჩე- რდა. ფართოდ გაღებულ ჭიშ- კარში მერცხალივით შემოფ- რენილი პატარა გოგონა გრი- გოლს კისერზე ჩამოეკიდა.

— პაპა, პაპიკო, — შეეღუ- რტულა მოხუცს და პაპა გახა- ლისდა.

გაზაფხული ძვალსა და რბი- ლში გასაჯდომია ბუნებას. დაგ- ვილ-დაწყობილებულ ეზოში აფეთქებული ხეხილი საოცარ სურნელს გამოსცემს.

სტუმარ-მასპინძლები ეზოში დადგმულ გრძელ ტახტზე ჩა- მოვსხედით და სასაუბროდ მო- ვემზადეთ.

— დავიბადე 1915 წელს, აქ, ამ მიწაზე, — იგონებს გრი- გოლ სურამელაშვილი, — წერა- კითხვა შინ ვისწავლე. გვიჭირ- და ცხოვრება, მაგრამ მომა- ვალს იმედის თვალით შევყუ- რებდით მე და ჩემი პატარა ოჯახი.

1939 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამიწ- ვიეს. გული შინ, ჩემს თერთ- მეტი თვის გოგონასთან, მრჩე- ბოდა, მაგრამ სამშობლოს ძი- ხილს უარი არ ეგებოდა და მეც უყოყმანოდ ჩავიცვი წი- თელარმიელის ფარაჯა.

სავალდებულო სამხედრო სა- მსახურის დამთავრებამდე სამი თველა მრჩებოდა. დღეებს ვი- თვლიდი, ოცნებაში ჩემს პა- ტარა გოგონას ველაციცებო- დი, მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმე- რთი იცინოდან... 1941 წლის ზაფხულში ომი დაიწყო. ჩვენი ნაწილი ტაგანროგის მიმართუ- ლებით, პირდაპირ ფრონტის წინა ხაზზე, გაიყვანეს. ჯერ ხეირიანად თოფი არ გამეც- როლა, ჯავრიანი გულიდან ბო- ლმა არ ამომენთხია, რომ თვით- მფრინავიდან ჩამოგდებულმა ყუმბარის ნამსხვრევმა დამჭრა.

ორი თვე ვმკურნალობდი თბილისის სამხედრო ჰოსპი-

ტალში. გამოჯანმრთელებული ჯარისკაცები თბილის-როსტო- ვის მიმართულებით კვლავ ფრონტის წინა ხაზზე გავვიყ- ვანეს. არც იქ მიბრძოლია დიხანს. მიიმედ დაჭრილი და კონტუზირებული სამ თვეს ვი- წექი ხარკოვის ჰოსპიტალში.

1943 წლამდე ვიბრძოდი, როგორც ქვეითი ჯარისკაცი. ორმოცდასამი წლის შემოდგო- მიდან უკრაინის ფრონტის პირ- ველი გვარდიული დივიზიის 399-ე პოლკში არტილერიისტის თანაშემწედ ჩავირიცხე. ერთ- ერთი შეტაკების დროს არტი- ლერიისტი მოგვიკლეს და მისი ადგილი მე დავიკავე. იმ წელს პოლონეთს ვათავისუფლებ- დით. გადავედით მდინარეზე და დაკავებული პოზიციების გამაგრებას შევუდექით. მტრის თვითმფრინავები შეუსვენე- ბლივ გვბომბავდნენ. იწვოდა დედამიწა, ინგრეოდა ყველა- ფერი, ისპობოდა სიცოცხლის კვალი.

ერთ-ერთი დაბომბვის დროს ხიდი დაინგრა და ორი ბატა- რეა ალყაში აღმოჩნდით. ჩვე- ნებთან კავშირი გაწყდა. ჩვე- ნი ბატარეის მეთაურმა, უფ- როსმა ლეიტენანტმა პონო- მარიოვმა, მაიორმა ბასოვმა და ათეულის მეთაურმა ლეი- ტენანტმა ბოგატოვმა წყლის

ტია სოფლის ბაგა-ბაღის პრო- ბლემა. ბაგა-ბაღის შენობაში დიდი სივიწროვეა. განსაკუთ- რებით ცუდადაა დაყენებული პროდუქტებით მომარაგების საქმე, რაც დაკისრებული აქვს ტყვიავის სოფლის კოაპერა- ტივის გამგეობას (თავმჯდომარე გურამ შევარდენიძე). აქ კვირაობით, ხან კი მეტი ხნის მანძილზე არ შეაქვთ რძე და რძის ნაწარმი.

— ვილას არ მივმართეთ, მა- გრამ ვერაფერს გავხდით, — გულისტკივილით გვეუბნება ბაგა-ბაღის გამგე რუსუდან ჩიხლაძე და დასძენს: — რძე

არ მოაქვთ და თუ მოაქვთ, უხარისხო და წყალწყალაა, მარტო ფერი აქვს თეთრი.

როგორც გავიგეთ, სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომი ზომებს არ იღებს მდგომარეობის გამოსასწორებ- ლად, არადა, მისი უშუალო მო- ვალეობაა სოფელი ამგვარი ამბებისადმი შეუწელებელი ყურადღების მიქცევა. საბჭოს თავმჯდომარემ — ზურაბ მა- კასარაშვილმა ჩვენთან შეხვე- დრა არ ისურვა. უნდა აღინიშ- ნოს, რომ საბჭოს ზეგავლენა მიინცდამაინც არც სხვა ობიექტებზე შეინიშნება. სხვას

რომ თავი დავანებოთ, საბჭო- ში ისიც კი არ იციან ზუს- ტად — სამამულო ომში რამ- დენი კაცი წავიდა სოფლიდან, რამდენი დაიღუპა და რამდენი დაბრუნდა შინ.

ამჟამად ტყვიავში 900-მდე კომლი ცხოვრობს. აქ 38 ადგილობრივი, 3 — რაიონული და ერთი უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. სოფლიდან გამო- სული ინტელიგენციის წარმო- მადგენლები სახელოვნად მო- ღვაწეობენ საქართველოს სხვა- დასხვა კუთხეში. ტყვიავი და ტყვიაველები სამართლიანად ამაყოფენ წარსულითა და დღე-

ვანდებლობითაც, ხოლო მომავ- ლისათვის უფრო დიდი სიმალ- ლეების დაპყრობა აქვთ გა- თვალისწინებული. ეს ცრუ ქადილი არ ვახლავთ. ტყვიავ- ველებს საქმით არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ სიტ- ყვეს ამაოდ არ ხარჯავენ.

როგორც იტყვიან, სოფელს გულიც ერჩის და ღონეც მო- სდევს. ვემშვიდობებით ტყვიავ- ველ მშრომელებს, მოვდივართ და თან მოგვყვება წარუშ- ლელი შთაბეჭდილებებისა და კმაყოფილების გრძობა, ასე ურყევად რომ დგას სიკეთის ფესვებზე.

საბავშვო ნიგნის კვირეული ესტონეთში

1984 წელი, 25-31 მარტი


საბავშვო წიგნების გამოფენის გახსნა.
ცენტრში უფროსი „იუნოსკოს“ მთავარი
რედაქტორი, პოეტი ანდრეი დემენტიევი.

სტუმრები ძველ რატუშაში.

თბილისელი მოსწავლეები — ქეთევან
კვაჭანტირაძე და მინეილ ჭკუასელი.

მწერლები საბავშვო ბიბლიოთეკაში.

ნორჩი მკითხველები ესტონეთის სსრ
უფროსი რედაქტორის სახლში.





გაზაფხული



სოფელი წინარეზი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიჩაი


რეზანა კაპაბაძე

საბართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი



სოფელი მარტყოფი





მწერლები და ნორჩი მკითხველები.

სოფელი საკუ. საშუალო სკოლა.


• დღეიდან მეგობრები არიან.

ექსკურსია ტალინში.

ფ. რ. კრეტსვალდის ძეგლთან.

მწერალი დოდო ვადაჭკორია და ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის მუშაკი ნანა მეხრიშვილი კვირეულის მონაწილე ქართველ ბავშვებთან ერთად.





ატირდა გრიგოლ სურამელა-
შვილი, ატირდა და აგვატირა.
შომავალ თაობათათვის შეწი-
რულ ფრთავაშულელ მართ-
ვეთა შესანდობარით დაიღ-
ვარა ორმოცი წლის შემდეგ
ჩვენი ცრემლები.

— თვალები დავუხუჭე. ისე-
თი ვიწრო და პატარა იყო სან-
გარი, კაცი წელში ვერ გაიმ-
ართებოდა. მკვდრის დამარხვა
არ ხერხდებოდა. ფარაჯა გა-
დავფარე და როგორც კი
ბრძოლიდან ოდნავ ამოვისუნ-
თქავდი, ცრემლებით ვასველე-
ბდი ცხედარს.

ოთხ დღეს არაფერი მიჭა-
მია. ოდნავ მოშორებით, პატა-
რა სანგარში, ორი ურალელი
რუსი ლომივით იბრძოდა. შიმ-
შილმა რომ შეგვაწუხა, გადა-
ვწყვიტეთ, ტყის პირას მდგა-
რი, სასწაულად ვადარჩენილი
ორი ადგილობრივი მოსახლისა-
თვის საჭმელი გვეთხოვა. სხვა-
დასხვა მიმართულებით ტყისკენ
გავფოფხვით. უცებ შევნიშნე,
რომ ტყიდან გერმანელები გა-
მოვიდნენ და გეზი ჩემკენ
აიღეს. დავითვალე. თექვსმეტ-
ნი იყვნენ. ოთხი ხელყუმბარა
მქონდა შემორჩენილი. ოთხივე
ერთად შევკარი და დაველო-
დე. რომ მომიახლოვდნენ ხელ-
ყუმბარები ვესროლე. მერე ავ-
ტომატი მოვიმარჯვე და „ურას“
ძახილით ხელები ავაწვინე.
ათნი დარჩენილიყვნენ. ჩემს
ყვირილზე იმ ორმა რუსმა ჯა-
რისკაცმა მოიბრინა. ათივე
ტყვე ჩვენს ნაწილს ჩავაბარეთ.
დაიწყო ჩვენი ჯარების დიდი
შეტევა. ორ დღეში ქალაქი ბა-

რანოვიჩი მთლიანად გავათა-
ვისუფლეთ ფაშისტი დამპყრო-
ბლებისგან.

მწყობრის წინ შტაბის ხელ-
მძღვანელობამ მადლობა გა-
მომიცხადა.

ჩვენი ნაწილიდან სამნი წარ-
გვადგინეს უმაღლეს ჯილდოზე.
იმ ორ მებრძოლზე ექვსი დღის
შემდეგ მოვიდა ბრძანება, ჩემ-
ზე არაფერი იყო ნათქვამი.

ბრძოლები გრძელდებოდა.
პოლონეთის გავლით გერმანი-
აში შევედი და ბერლინის ქუ-
ჩებში უკანასკნელად დავცალე
ავტომატის ჯერი.

1945 წლის ნოემბერში ავს-
ტრიაში დემობილიზაციამ მო-
მიწია და თერთმეტ დეკემბერს
უკვე შინ ვიყავი.

1949 წელს გამომიძახეს და
გმირის ოქროს ვარსკვლავი და
ლენინის ორდენი ვადმომ-
ცეს, — დამთავრა თავისი ამ-
ბის მოყოლა გრიგოლმა.

დაიღალა. დაძარღვული მუ-
ბლი ოფლის მსხვილმა წვეთე-
ბმა დაუნამა.

თავმდაბალი კაცია გრიგოლ
სურამელაშვილი. თავი არ და-
უზოგავს სამშობლოს სამსახუ-
რისთვის. უანგაროდ შესწირა
ახალგაზრდობის საუკეთესო
წლები ქვეყნად მშვიდობის და-
მყარებას, მაგრამ შენაწირი
უკან გაათქვეცბული დაუბრუნ-
და. განა ცოტაა, პატივს გცემდ-
ნენ, გაღმერთებდნენ, შენს
მკერდზე აბრიალებულ გმირის
ოქროს ვარსკვლავს მოწიწებით
შესცქეროდნენ გოგო-ბიჭები.

სოფლის დიდ პაპად მიაჩნდეთ,
სჯეროდეთ და სწამდეთ შენი.

ომიდან დაბრუნებული გრი-
გოლ სურამელაშვილი ვერ იც-
ნო უკვე გაზრდილმა ქალიშვი-
ლმა, ხელმეორედ გადაუხადა
ქორწილი ნაომარ აჯაკაცს სო-
ფელმა. გამრავლდა ოჯახი.
შვიდი წლის ლილიმ ერთი და
და ორი ძმა შეიძინა. გაძლიერ-
და მამაპაპური კერა, მაგრამ
ევ არის, რომ ნაომარი კაცი
ველარ მიეკარა მიწას, ველარ
გაიყვანა ხსული, ველარ ჩააგდო
მარცვალი.

თბილისში რკინიგზელის კუ-
რსები დაამთავრა და რკინი-
გზის სავაგონო დეპოს ვაგონე-
ბის გამსინჯველად დაიწყო მუ-
შაობა.

1967 წლიდან გადავიდა თბი-
ლის-სოჭის მატარებლის გამ-
ცილებლად და 1983 წლამდე
ხალდი ვაჟაკაცის სახელით ზი-
და რკინიგზელის საპატიო სა-
ხელი.

ახლა დამსახურებულ პენსი-
აზეა ოთხი შვილის, თერთმეტი
შვილიშვილისა და ორი შვილ-
თაშვილის ბედნიერი დიდი პა-
პა — გრიგოლ სურამელაშვი-
ლი, ყავარჯენზე დაყრდნობი-
ლი რწმენად და სიკეთედ რომ
იღვრება მომავალი თაობის
თვალში.

მხოლოდ ერთი შეკითხვა მი-
ვეცი დიდი სამამულო ომის
გმირს.

— პატივცემული გრიგოლ,
რას ფიქრობთ მსოფლიოში
შექმნილ დღევანდელ დაძაბულ
საერთაშორისო მდგომარეო-
ბაზე?

— მე, ნაომარი კაცი, აი, რას
გეტყვით:

39 წელი გავიდა მას შემდეგ,
რაც საბჭოთა ჯარისკაცებმა გერმან-
მარჯვების წითელი დროშა აღ-
მართეს რაიხსტაგზე. დრომ ვერ
შეანელა მძაფრი ტკივილები.
ომი, რომელიც კაცობრიობას
ორმოცდაათი მილიონი სიცო-
ცხლე დაუჭდა, დღესაც ექოსა-
ვით გაისმის მშვიდობისმოყვა-
რე ხალხების გულეში.

ადამიანის სიცოცხლის საშუ-
ალო ხანგრძლივობას 50-70
წელს ანგარიშობენ და ამ მცირე
მონაკვეთში, სამყაროს
გრძელი გზის ერთი გაულვების
წამს, ადამიანებს განა უნდა
რჩებოდეთ დრო, იფიქრონ
ომზე, სიკვდილზე, სისხლის-
ღვრაზე და, რაც უფრო შემაშ-
ფოთებელია, ჩვენი ლამაზი
დღედაღამის ბირთვულ კატას-
ტროფაზე?

შე დალოცვილო, შენამდე
დღედაღამ უსასრულო რიცხვი
ადამიანებისა ზარდა, ძუძუ
აწოვა, შენს შემდეგაც მოდის
კვლავ უსასრულო ჯაჭვი სი-
ცოცხლისა და შენი ვალია, იფი-
ქრო სიცოცხლეზე, გაზაფხუ-
ლზე, აყვავებულ ქვეყანაზე,
დაქროლებულ ნიავის სურნელ-
ზე, მშვიდად მსუნთქავ დედა-
მიწაზე.

...ასე ამბობს შვილებითა
და შვილიშვილებით გარშემო-
რტყმული გმირი ჯარისკაცი და
სიამით გასცქერის მოწმენდილ
ცას.

ლალი მიხრიაული,
„დროშის“ სპეციალური
კორესპონდენტი.

ნარგიზა სოფრომაძე

უქსეზი

დამორჩილებულს ნუ მელოდები,
დამმორჩილებლად მუდამ მიგულე.
რა უცნაურად მილიმი, ბედო,
თვალი რა ჯიქურ ჩამიკარ თვალში.
შენი შემყურე ქედი არ ქედობს...
და მეც მომწყინდა შენთან თამაში.
მომბეზრდა შენი ცივი ხელები.
ეგ ირონიაც — მუნჯთა ღრიალი...
შენი სიჩუმით გახელებული
ალბათ, იფეთქებს სისხლი ტიალი.

მდეგრად ნურასდროს ნუ დამიგულე,
მხოლოდ წინ გაჭრილ მხედრად მიგულე.

შენ გეჩვენება, თითქოს დაბერდი
და შენს ქვის მუხლებს ლალატობს ძალა...
ვინ იცის, შენი ცივი კედლები,
რამდენი ტყვიის ნაკვალევს მალავს.

შენ გეჩვენება, თითქოს დაბერდი,
თითქოს ცხოვრებამ გაქცია ზურგი.
ვინ გავახსენდა, ციხევე რიყისა,
რად ჩაგიცვია წუხილის ქურჩი?
რა დროს მოსულხარ, ფიქრო წყეულო,
სად მე და სად შენ თეთრი სამოსით.
ვერ დავგაბრუნებ იმ ბეწვის ხიდთან,
რომელსაც გუშინ ტანჯვით გამოვცდი.

არა, პაემანს არასოდეს არ დაგინიშნავ
და შენს სახელსაც არასოდეს დავეჩოქებო...
ჩემს რაშს წილად ხვდა მოხუხუნე ქარის
მათარახი,
ამ ჩემს მიწას კი დაცვარული მისი
ფლოქეები...
ვიცი, ვიპოვი სადმე... დალილი,
ჩუმიად ვიპოვი... ვითომ შემთხვევით...
და შენ კი არა, ო, შენ კი არა,
გათანგულ ცხენის ჩლიქებს ვემთხვევი.

ჩვენ ერთი გზა არასოდეს გვქონია,
მაგრამ ხშირად ჩემს ქუჩაზე გამჩნევდი.
ის ოცნება ქარმა გაიყოლია,
ის ჩურჩული ღამეებმა ჩარახეს.
ახლა თუკი სადმე აქეთ გამოვლილს
შეგამჩნევენ... ან უეცრად შევხვდებით:
იციანიან ჩემი ქუჩის ვერხვები
და ფოთლები ურცხვად ჭორიკანობენ.

ცაში გაქცეულ მუხის ტოტებს
ხელმოჩრდილვით შეჰყურებდნენ
ზერიკაცის წყვილი თვალები...
მერე უეცრად შიშით დახედეს
დაბერებულ, დაყოჩილ ხელებს
და შეაჩერეს წუთი წლებით განაწამები.
ნეტავ, რა იდგა იმ წუთის უკან,
გულის ფეთქვა თუ გონების ჭვრეტა?
რამ ჩააფიქრა მოხუცი, ნეტავ?



რევაზ ასავეი. 1941 წელი.

სამხრეთ ოსეთში მომუშავე მწერალთა შორის რევაზ ასავემა თავისი ადგილი დაიმკვიდრა. მას დამსახურებულად სცემს პატივს ფართო მკითხველი საზოგადოებრიობა. მთიელი კაცის პირდაპირობითა და უშუალოდ გამთბარი მისი ლექსები ითარგმნა ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სხვადასხვა ენაზე, არაერთხელ გამოიცა მოსკოვში, თბილისში. იგი ავტორია ორმოცზე მეტი პოეტური კრებულისა. პოეტის წიგნებსა და შემოქმედებაზე დაიწერა არაერთი წერილი და რეცენზია.

ომის შემდგომ ოსურ ლიტერატურაში რევაზ ასავეი შემოვიდა ისე, როგორც ნაბრძოლი ჯარისკაცი. მის სტრიქონებს შემოჰყვა ნამდვილი ჭიგის სულის სილადე და ჭაბუკური შემართება, ნათელი, მხედრული განწყობილება, სიცოცხლისადმი სწრაფვა, სიყვარული. პატარა მთიანი მხარის შვილმა, მკითხველს გააცნო საკუთარი თავით ნაწახი ცხოვრება და ახლებურად თქვა თავისი სათქმელი.

პოეტი მშობლიური ოსეთიდან მთელ ქვეყანას ხედავს. ხედავს, როგორ იღვრება ოფლი დანგრეული ქალაქების აღსადგენად, როგორ იბრუნებენ პირვანდელ სახეს გადაშენებული დაბა-სოფლები, რო-

გორ გამოცოცხლდა ნაომარი მიწა. მან გვერდი არ აუარა ოსური ლიტერატურის ძველ ტრადიციებს — ეთაჟვანოს მშობლიურ ხალხს, მშობლიურ მიწა-წყალს, მის წარხულს, მის მომავალს. მკითხველს წარმტაცი პოეტური საღებავებით დაუხატა გამწვანებელი ოსეთი, ზამთარ-ზაფხულ თოვლიანი მთებითა და მწვანე ველ-მინდვრებით მორთულ-მორითული მხარე. მისი სურვილია, რომ ადამიანები პატივს სცემდნენ კეთილ მეზობელს, მოყვარეს მოყვრულად ხვდებოდნენ.

პოეტმა იცის ჩვენი უკიდევანო სამშობლოს ფასი. იცის, როგორი ელვარებით თენდება ჩვენი დილა, როგორ ათენ-აღამებს მევენახე ვენახში, მეჩაიე ჩაის პლანტაციასში, როგორ შეხვევია ცხვრის ფარა იალადებს, როგორ ბურღავს მიწის გულს დონახელი თუ ტყიბულიელი მემდაროე, რა ოფლით, რა სიმწრით მოდის ქვეყნის მარჩენალი პური.

ერთი სიტყვით, რევაზ ასავეი დღევანდლობის პოეტია. თანამედროვე ადამიანის ფიქრსა და გონებაში წვდომა, მისი სიხარულისა და ტკივილების დანახვა, აი ის, რითაც სულდგმულობს ამ ნიჭიერ პოეტის შემოქმედება. მაგრამ სამამულო ომის თემა, შეიძლება პირდაპირ ითქვას, მთავარია და ძირითადი მის შემოქმედებაში.

პირველი წიგნიდან დაწყებული დღემდე თავისი პოემებით, ლექსებით, პუბლიცისტური ნაწარმოებებით, იგი მებრძოლი ჯარისკაცია. მისი ფიქრი და გონება თავზე დაატრიალებს მრისხანე ომის ფრონტებზე გაცნობილ ამხანაგებს. განგაცდევინებს ჯარისკაცულ ცხოვრებას, მათ მისწრაფებებს, ტკივილებს, გულისტკივს. ზოგჯერ სისხლისგან იცლებიან ისინი, უჭირთ, მაგრამ უკან არ იხევენ. გადადიან ყუმბარებისაგან გადათხრილ სანგრებზე. ჩამოქცეულ ბლინდაუებზე, შედიან დანგრეულ, აბოლებულ ფაშისტურ ბუნაგში და გამარჯვების დროსა რისხსტავის თავზე ააქვთ. რევაზ ასავეი, გამოჩენილი ოსი პოეტი, რომელ-

საც იცნობენ და აფასებენ სამხრეთ ოსეთის ყოველ კუნჭულში, გაიზარდა და შემოქმედებითად დაავსა რუსული და ქართული ლექსის კლასიკურ ტრადიციებზე. კახეთის მსუყე მიწაზე დაბადებულმა, მან ადრეულად შეიყნოსა ქართული პოეტური სატყვის სურნელება. შეიყვარა ილიასა და აკაკის მშობელი ხალხი, რუსთაველის ენა. ამ ენას იგი თავისუფლად ფლობს. ამიტომაც, ალბათ, ასე მშვენივრად გადმოიტანა ოსურ ენაზე როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები.

ნათელია და მართალი პოეტი-ჯარისკაცის მიერ განვლილი გზა.

თვრამეტ-ცხრამეტი წლის ჭაბუკი მსროლელი ბატალიონის კომორგია. 1941 წელს, ფრონტზე, გააფრთხილები ბრძოლების დროს პარტიის რიგებში შედის. ოცდარვა წლისა უშრნად „ფილიუგის“ რედაქტორია. წლების განმავლობაში სელმძღვანელობს სამხრეთ ოსეთის მწერალთა ორგანიზაციას. ოცდათუთმეტი წელი მშვიდობის მომხრეთა საოლქო კომიტეტის უცვლელი თავმჯდომარეა. მიღებული აქვს მთავრობის ჭილდოები...

მე მგონია, კარგი ჩვეულებაა, როცა ახალგაზრდა კაცს ეუბნებიან, შენ ყველაფერი ჭერ კიდევ წინა გაქვსო. დაახლოებით ამავე სიტყვებით მინდოდა მიმემართა სამოცი წლის რევაზ ასავეისათვის, პოეტისათვის, რომელიც ახლაც ახალგაზრდული ძალითა და მოწადინებით ემსახურება მშობლიურ ლიტერატურას. ყველაფერი არა და, ბევრი რამ კი მართლა წინაა. წინაა ბრძოლა სიტყვასთან, ახალ სახებთან, თემებთან, იმასთან, რაც გაწუხებს და დაწერას გათხოვს, წინაა ჩამოუთავებელი ფიქრი იმაზე, სათქმელი რომ გაქვს და ჭერ კიდევ არ გათქვამს ბოლომდე.

რიურის თადეტი,

ფილოლოგიურ მიცნიერებათა კანდიდატი.

რევაზ ასავეი

ჩემი პარტიული ბილიტი

სულ თხოთმეტი წლის ვიყავი მაშინ, გამხდარი, ცისფერთვალა ბიჭი... ზღაღინდელი დღის მყუდროებაში არ შემეპარვია მცირედი იჭვიც.

ხედნიერ სიხმრებს ვხედავდი დამით და მშვიდი ძილით მეძინა იმ წამს, როცა ღრუბლების წამოსასხამით გაშავდა ცა და აინგრა მიწა.

აღუღდა ზღვა და აიღვრა წყალი, ცეცხლი ეკიდა ქვაბსა და ლითონს... ჩემს თოვლიან მთებს მოვავლე თვალი, სახლიდან ომში წავედი თვითონ.

სხვაა ციმციმი თვალების ფერთა — ზეცის მაცქერალ თვალების ფერთა... მეც არაერთხელ ჩემს ძმებთან ერთად ავაწრიალდე ვერაგი მტერი.

თუმცა მე გმირის სახელს არ ვჩემობ, ომი კი კარგად მაქვს დანახული. იქ, მოგრუხუნე ტანკების ქვემოთ, სანგრებში ბევრჯერ ვარ დამარხული.

მაგრამ მე ადრეც შემაფრიალა ერთმა სურვილმა და დღესაც უფრო მინდა ჩემს ნაბრძოლ გზებზე კი არა, ჩემს პარტიულითზე გაგებასობო...

ერთ დღეს, გათოშილ იანვრის დილით, ცა რომ შეწითლდა ცეცხლის თაქართ, მოდიოდა და სისხლიან ბილიკს თოვლზე ტოვებდა მხეცი მწაკვარი.

ცრის ავტომატი გაბმული ჭერით, მქრთან ტყეფიბი იმათკენ, მადლით. ყინულს ფხოვნის და მოცოცავს მტერი, სკდება ჭურვი და ჭრის პაერს ნაღმი.

მარტო მისი ხმაც მოვთენთავს, მოგშლის, საეჭვოდ ბოლავს ყოველი ჩირგვი და ცხელი ტყვია ცივდება თოვლში, ვით სითბო ჩამქრალ კოცონის ირგვლივ.

ჩემს უკან ვილაც შაშხანით ნელში, როცა მჭუხდა და მიწა იძროდა, რომ ჩამოცოცდა სანგარში ხვეწით, ვიცან, ფოტოგრაფს ვინ არ იცნობდა?

ჩხაკ!.. და გამოკრთა შუქი კაშკაშით, აპარატის წინ ოფლში ვცურავდი. მანცდამანც იმ დღეს სანგარში, რად გადამიღო, ნეტავ, სურათი?

დათბა და უკვე თოვლი არ ბარდნის, ტოტები თოვლქვეშ არ ილუნება, გაქრა ზამთარი და დადგა მარტი, იცვლის სამოსელს ფრონტზე ბუნება.

ო, ის მრისხანე ორმოცდასამი! ო, ოცი მარტი თვალმოციმციმე!

წამოვიმართე ფეხზე მთასავით, ორმაგად ვიგრძენ მხრებზე სიმძიმე.

არ თქვა, არ ფვასობთ გარჯით მცირეთიც, ჩვენი ალალი სისხლის პკურებით. მე პარტიული მომცეს ბილითი, რადგან სამშობლოს ვემსახურებით.

მე, დიდო წუთო, დიდო თარიდო, გულმა ამ დღისთვის ბევრი იომა... აი, სურათი რად გადამიღო, თურმე, იმ ფოტორეპორტიორმა.

ისევ ის ცეცხლი ყინვის გამლღობი და ის ყინული ცივი ბზინვითა. ძეგლივით დარჩა ჩვენი მადლობი ასმეთოთხმეტე დივიზიიდან.

დავიჭრებოდით ბრძოლაში თუკი, რა მძაფრი იყო სუნი იოდის. ჩვენ პარტიული ბილითის შუქით კვლავ შეტევაზე გადავდიოდით.

ვაუკაცმა ვალის გადახდა იცის და საქმით ამბობს, რად ცოცხლობს, რისთვის! ესაა სისხლით ნაწერი ფიცი, ფიცი მეომრის და კომუნისტის!

...დღეს, ალბათ, ბევრს არ ვემანსოვრები, ვიცოცხლოთ, ძმები კარგად გვეყოლოდეს... ეს პარტიულითი ფრონტულ ცხოვრებით, ჩემთან დარჩება მანც ბოლომდე.

განსაკუთრებით ძვირფასია ყოველი როლი, — თუნდაც ეპიზოდური, როცა მას ფესვები ეროვნულ ნიადაგში აქვს გადგმული. გივი ბერიკაშვილსაც შეუსრულებია არაქართული როლები სხვადასხვა სპექტაკლში, ჰქონია წარმატებაც, ნომადულშიაც ბევრჯერ გაგვახარებს, მაგრამ მისი სტიქია მაინც ქართული სამყაროა. მშობლიურსა და მისთვის ნაცნობ გარემოში იბადებიან ბერიკაშვილის არტისტული სახეები. ბუნების სინედლე და სიჯანსაღე მოსდგამთ მათ. ასე გვეგონებათ, ისინი ცხოვრებიდან პირდაპირ სცენაზე გადადიან, არაფერი ხელოვნური და გამოგონილი აქ არ არის. ასე იქმნება ბერიკაშვილისეული არტისტული მოდელები, რომელიც აღსავსეა იუმორით, სიჯანსაღით, მაღალი ზნეობრივი პრინციპებით.

გივი ბერიკაშვილი დიდად პოპულარული მსახიობია, ხალხს უყვარს, რადგან ყველაფერი, რასაც იგი ქმნის — სცენაზე თუ ეკრანზე, ხალხურობით და სცენური მომხიბვლელობით არის გამორჩეული. მისი გმირები წუთისოფლის ორომტრიალში თითქოს არხეინად გრძნობენ თავს. მათთვის არაფერი აღამიანური უცხო არ არის. მსახიობის სიტყვა და ქესტი გამართლებულია ყოველ სცენურ სიტუაციაში. უშუალოა ინტონაცია, პლას-

**პასილ
კიკნაქა**



ჯერ ერთ შინაბერას ჩაახედებს სულში, მერე მეორეს, მესამეს და ასე თანდათან ოსტატურად არღვევს „შინაბერათა ანსამბლს“, ფარდას ხდის მათ მოჩვენებით მხიარულებას. ბერიკაშვილის მიტუქს სახით ცხოვრება შეიჭრა შინაბერათა სამყაროში და ფაქიზად მოხსნა საბურველი, რომელიც მათ ფარავდათ, სულის სიღრმეში ჩაახედა, ქვეყნისა და მომავლის წინაშე მოვალეობის გრძნობა გაუღვიძა. გივი ბერიკაშვილის წარმატება ამ პიესაში ბევრად უფრო მეტი

სწორედ ამ ფენომენშია პოპულარობის მიზეზიც. მისი ყოველი როლი, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს, აღბეჭდილია სიკეთით. მსახიობი ისე ქმნის თვით უარყოფით ტიპებსაც კი, რომ ისინი ზიზღსა და სიძულვილს არ იწვევენ. მანკიერების მხილება შერბილებულია შინაგანი კეთილშობილებით. ბერიკაშვილის ლუარსაბ თათქარიძეს რაღაც ფარული ნაღველი დაჰკრავს. თითქოს სარკასტული სიცილისათვის არ ემეტება ლუარსაბი.

ამავე როლს ასრულებს მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლში ბერიკაშვილის სპექტაკლში ყველაზე მეტად გამორჩეული და დასამახსოვრებელი სახეა. აქ კვლავ ახალი ძალით გამოჩნდა მსახიობის ხალასი იუმორი.

მ. ელიოზიშვილის „ბერიკონი“ მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლია. რ. მირცხულავას მდიდარმა რეჟისორულმა ფანტაზიამ, ქართული ხალხური სანახაობის ცოდნამ, ზასიათებისა და სახეების მრავალფეროვნად გამოხატვის ოსტატობამ სინთეტურ მთლიანობაში წარმოადგინა პოლიტიკურად მძაფრი სოციალური ყოფის სურათები. გივი ბერიკაშვილი გირტუოზული ოსტატობით ქმნის ლალეს სახეს.

...კალოსავით ტრიალებს წუთისოფელი, ურთიერთს ებრძვის სიკვდილი და სიცოცხლე, აკვანი და კუბო, იბადებიან ახალი აღამიანები, გივი ბერიკაშვილის გმირი თავად ატრიალებს წუთისოფელს. ათასგვარ კირხულ ქართველ გლეხკაცს გაუტყეველი სული უდგას, ვერაფერი მოლლის მის ენერგიას, ვერ მოერევა სევდა და ტკივილი, მულამ ოპტიმისტური, სიცოცხლეზე დახარბებული, ჯანსაღი და ხალისიანი ლალეს სიცოცხლის შეიშია სცენაზე. მანამდე არსად, არც ერთ ქართულ სპექტაკლში ხალხური თეატრონის ფორმით ისე ნათლად და საყვარლად არ გამოვლენილა სიცოცხლის განახლების იდეა, როგორც „ბერიკონში“. გივი ბერიკაშვილი ქმნის ფართო მასშტაბის ეროვნულ სახეს.

სიცოცხლის დამამკვიდრებელი, მკაფიო და ენერგიული, გულთა და მართალი აღამიანებით არის დასახლებული გივი ბერიკაშვილის თეატრალური სამყარო. ამ ჯანსაღი ცხოვრებისეული რიტმით, სიცოცხლის განცდით არის შესრულებული ალექსანდრე ჩანჩახელოს (კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“) სახეც.

გივი ბერიკაშვილმა საკუთარი მხატვრული პოზიციის შემუშავების, სიმართლის ძიების რთული გზა განვლო. სოხუმის თეატრში დაიწყო ეს გზა 1956 წელს, სადაც იმთავითვე მიიქცია ფართო მყურებლის ყურადღება. შემდეგ გაღრმავდა და გართულდა პრობლემათა წრე, მსახიობი ზედიზედ ქმნიდა სახეებს სცენაზე, კინოში, ტელესპექტაკლებსა და ტელეფილმებში, გამდიდრდა ბიოგრაფია, რომელმაც საყვარლად ნათლად გამოავლინა გივი ბერიკაშვილის ხალასი შემოქმედებითი ბუნება.

ბივი სერიკაშვილი

ტიკური ხაზი თუ შინაგანი ქცევის ლოგიკა. დიდ ბუნებრიობაში იკარგება მსახიობის მომქანცველი შრომის კვალი. ასე გაჩნდნენ ამქვეყნად გივი ბერიკაშვილის მიტუქა, ლუარსაბი, ბონდო, გოსტაბაში, ბულიკა, ფირუზა და სხვები. ყოველი მათგანი ბერიკაშვილის სულის ნაწილია, მისი სისხლი და ხორცია.

თითქოს სცენაზე კი არა, ცხოვრების შუაგულში დგას ექვსი შინაბერათი გარშემორტყმული მიტუქა და თავის უბრალო გლეხკაცურ სიბრძნეს უნაწილებს მარტოსულებს. სიცოცხლის გაგრძელების, ქალის დედადქცევის ფარულვალობის იდეა ღრმა ფსიქოლოგიური სიმართლით არის მოტივირებული ოტია იოსელიანის პიესაში „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“. რუსთავის თეატრის სპექტაკლში შინაბერების მიერ შექმნილი მოჩვენებითი სიხარულის გარემოში თანდათან იკიდებს ფეხს ბერიკაშვილის გმირი.

იყო, ვიდრე ერთი როლის გამარჯვება. მსახიობმა თითქოს აქ იპოვა ის ლექსიკური თავისებურება, რომელმაც ახლებურად გამოაშუქა მისი არტისტული შესაძლებლობანი.

გივი ბერიკაშვილი დღითი დღე აფართოებს მხატვრულ თვალსაწიერს, ამრავლებს მიღწევებს და თანდათან ღრმად იჭრება ხალხის გულსა და სულში. იგი მყურებელთან ალაღად შივიდა და სულთა ერთობაში გაატარა საუკუნის მეოთხედი.

ვინ არ მოხიბლულა გივი ბერიკაშვილის ლონდრეთი! რამდენი გონებამახვილობა და ხალასი იუმორია მასში. კეთილი და უცნაური თავგადასაცვლებით ლონდრე მოხეტიალე ლაზარული ტორმოსელივით ხალხური ტიპია. ხალხის წიაღიდან არის წამოსული მისი გოსტაბაშიც.

გივი ბერიკაშვილი აქვს სცენური მომხიბვლელობა. ბუნება ამ მაღლით იშვიათად აჯილდოებს ხოლმე მსახიობს.

ნოდარ დუმბაძის „თეთრ ბაირალებში“ გივი ბერიკაშვილი გულთაისის სახეს ქმნის. იგი შესრულებულია რეალისტური სიმართლითა და არტისტული ოსტატობით. თითქოს ერთ სიბრტყეზე ლაგდებან გულოანი და ბონდო (ა. ჩხეიძის „შთამომავლობა“), მაგრამ მათი ბედის საერთო ნიშნების მიუხედავად, ისინი განსხვავებული არტისტული ცხოვრებით ცხოვრობენ. ბონდოში მეტი სევდაა, ფარული ტკივილია. როცა სცენაზე პირველად შემოდის ბერიკაშვილი, მყურებელი ტაშით ხვდება. უცებ მყარდება კონტაქტი დარბაზთან. გივი ბერიკაშვილი ნიუანსებში გრძნობს დარბაზის სულიერ მიმოქცევას. ეს არის შემოქმედებითი თანადგომის ღვთაებრივი წუთები!

გივი ბერიკაშვილმა გვაზიარა გზასაცდენილი კაცის სულიერ დრამას.

ლენინგადის გვირგვინი

ოლგა გერგოლცი

ცხრაასი დღე და ღამე გლოვადის უმძიმეს პერიოდში ცნობილი რუსი პოეტი ქალი ოლგა გერგოლცი კალმითა და იარაღით ხელში თანამოქალაქეების გვირგვინით გვირგვინად იცავდა ლენინის ქალაქის მისაღვრობას.

ორგოცდაერთის უბის წიგნაკიდან

1

გხედავ მოჩირადა ყორნისფრად ღამე,
ვინღა იღონოს ამ წუთას რამე:
ვერ გაეჭვივი სიბნელეს ვერსად,
კარს ვერ შეუმტვრევ დათალხულ ზეცას...

2

თითქოს გავქრი და აღარსად ვცხოვრობ —
არარაობად ვიქეცი მხოლოდ,
ორ აგურს შორის ვარ მოკცეული,
თითქმის არაფერს არ გრძნობს სხეული.

3

სიზმარია თუ ცხადია, ნეტავ?
განგაში შეწყდა, სიწყნარე სუნთქავს
და უცებ ჩიტთა ფლურტულის ფეთქვა,
ქალაქის ბაღებს ჩაეწნა სუფთად.
ასეთ სიხუმრეს მოპყვება დღევანდელ...
ამ მგალობელთა უთვალავ ქოროს
ისღა ახარებს, რომ წაშით, შევლად
დამსხვრეულ ქალაქს ეახლნენ მხოლოდ!

4

თავშესაფარში, სარდაფში ვსხედვართ,
მლივს, ძლივს კრთებიან ელნათურები,
ყუმბარებისგან შენობა, ვხედავ,
კრიჭინებს, როგორც ძველი ურემი...
საოცარია, გრძნობა ასეთი
არ განმცდია მე ჯერ მიწაზე.
ქალურ ვნებებით, სიღამაშეთი,
ტრფობა ნამდვილი ახლა ვიწამე.

5

მოვიტყუებ და... გულით გაგიმხელ:
— არ ვიცი, არა, რა დამემართა.
თითქოს დაფურინავ, ცად ზომ არ მიხმეს,
ასეთი გრძნობა მამჩატებს მართლაც!

სულს ჩაეფხვა სიმყარე მიწის
და აი, გულის კარიც გავადე:
ჩემი ქალაქი ინგრევა, იწვის,
როცა ნამდვილი ტრფობა მამაღლებს.

1941, სპტემბერი.

29 იანვარი, 1942

მეზობრისა და მიუღლის — ნიკოლოზ
სტამბანას ძმ მოლჩანოვის ხსოვნას.

სასოწარკვეთა ცოტაა! მწუხარებაც ცოტაა!
ო, განვედ ჩემგან, წყუთლო უამო,
დღეს სული შენი სიყვარულის ლოცვა,
მადლობა, ძვირფასო, ყველაფრის გამო!

რატომ, ო, რატომ? შენს ჩვილს აკვანში
არ უნდა ვარწევდი! აწ და მარადის,
უნდა მამრმავებდეს ტანჯვის კაშკაში,
გაუგებრობა — სამარის კარმდის.

უშენოდ? არავისი სიყვარული არ მინდა,
ძალა მომეც, ღმერთო, ცოცხალი ვარ ვიდრე,
(ლენინგრადში ბედმა მე აღარ დამინდო!)
აწ სამომო საფლავზე მწუხარე უნდა ვიდგე.

ჩემთვის გამარჯვებას თუ ექნება ფასი?
ეს მტკივანი სული დავიმშვიდო რითი?
მოდით და, სიმარტოვის სამსალა მასვით,
თუ ვიცოცხლე — ვიცხოვრებ მოგონილი მითით,
ვიდრე გულში ერთი ნერვი მაინც მითრთის.

გიჟვარდა, გახარებდა ჩემი გახარება,
მიქებდი ყოველთვის სიცინცხლეს მეტად.
ადამიანური, ქალური ვნება
გსურდა დამეხარჯა,
რაც ძარღვებში მედგა,
წვრილმანებში, სიმღერებში,
სიყვარულში, ყველგან.

ახლა, იქნებ სხვა მოვიდეს...
სულ სხვა იეკვიანებს?
მობრძანდეს, ბატონო, და
მოიტანოს შვება.
ის თუ,
ის თუ მოურჩენს
რუსეთს მტანჯველ იარებს...

ასე გსურდა,
ასეც იყოს შენი საბოლოო ნება!

ჩემი მედალი

აღუა გრძელდება მძიმე ბლოკადის,
წარღვნამოვლენილ ქვეყანაზედა,
და მე დაცვისთვის მძლე ლენინგრადის
სამშობლო მძღვეს საბრძოლო მედალს.

არა საგმირო საქმეთა გამო,
უბრალოდ, ვცხოვრობ ამ ქალაქში და
რაც შემძლია, ვიტან და ვწვალობ...
წამება იგი ქვასაც დაშლდა.

მედალს მამღვენ იმ განვილდ გზისთვის,
რომელიც ცრემლით არის სოველი,
რომ შევებები, აღდგეს ყოველი
თვალწინ, ამიტომ და...
კიდევ მზისთვის,
საჭირო არის ვისხნათ რომელიც!

ჩარისკაცური ჩემი მედალით
აწ ათას წვრილმანს მე გავიხსენებ.
ჩემზე იტყვიან: — ნახეთ, მხნედ არის,
რა გზა განვლო და მღერის ისევე.

...აღუა გრძელდება — ატანას შევძლებთ,
გვაჩილდოებენ წამების წილად.
ჰო „ლენინგრადის დაცვისთვის“ მკერდზე
დღეს დამაბნებს მედალი ფრთხილად!

1943 წლის 3 ივნისი.

თარგმნა დილარ ივარდავაშ.

გამოჩენილ ადამიანთა სსრკ-ში

თქვენ ჩინებულად მიღწიეთ მიზანს

საფრანგეთის მეფეს — ლუი XIV-ს ძალიან უყვარდა ლექსების წერა, მაგრამ უხეირო პოეტი იყო.

ერთხელ მან კარის პოეტს ნიკოლა ბუალოს თავისი ლექსები უჩვენა.

— როგორ მოგწონთ, რა აზრისა ხართ? — ჰკითხა ლუიმ, ლექსების იმედით დარწმუნებულმა.

— ო, ბატონო, — უპასუხა ბუალომ, — თქვენთვის შეუძლებელი არ არსებობს, თქვენ ცუდი ლექსების წერა დაისახეთ მიზნად, რასაც ჩინებულად მიაღწიეთ.

ვიღაც ბატონი მოლიერი...

უან-ბატისტ მოლიერს არავითარი ხელნაწერი არ დაუტოვებია. ყველაზე მდიდარ ბიბლიოთეკასაც კი, როგორც ფრანგული ნაციონალურია, ერთი უბრალო წერილიც კი არ გააჩნია მისი ხელნაწერით. მოლიერის გარდაცვალებიდან 100 წლის შემდეგ ერთი გლეხი ხელნაწერი ქალაქდებოთ საცხე კარეტით დილის 7 საათზე მიადგა ერთ-ერთ ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკა დაქეტელი დაუხვდა, კარებზე დაბრახუნა და დაელოდა. კარგა ხნის შემდეგ კარისკაცმა კარი გააღო და ბუზღუნით შეეკითხა:

— რა მოხდა, რა გენებავთ?
— რაღაც ხელნაწერებია, ვიღაც ბატონი მოლიერის, დიდი ხანია, ჩვენს სოფელში დაუტოვებია, უნდოდით დაეწათ, მაგრამ არ დავანებე, ვფიქრობ, თქვენთვის სინტერესო იქნება.

— თქვენ ძალზე ადრე მოსულხართ. ბიბლიოთეკა 8 საათზე იღება, დაელოდეთ!

— დრო არა მქვს, მეჩქარება, — უთხრა გლეხმა და გაქალა.

მას შემდეგ ყოველი ცდა, ებოვნათ გლეხი, უშედეგო გამოდგა.

წიგნების დაუხმარებლად

თორმეტი წლის ასაკში ბლევ პასკალი თავის მათემატიკოს მამას ეკითხება:

— მითხარი, მამა, რა არის გეომეტრია? ძალიან მინდა, ვიცოდე.

— არა, გენაცვალე, შენთვის ჯერ ნაადრევია, — უპასუხა მამამ, — მოთმინე, როცა კარგად გეცოდინება ძველი ენები, მაშინ გასწავლი გეომეტრიას.

მამამ ჩამოართვა სახელმძღვანელოები, რომლებიც გეომეტრიას შეეხებოდა. მაშინ ნორჩმა პასკალმა გადაწყვიტა, წიგნების დაუხმარებლად, დამოუკიდებლად შეესწავლა საგანი.


ერთ დღეს მამა შეიღის ოთახში შევიდა. იგი გააოცა სხვადასხვა სახის სამკუთხედებით აჭრულ ბუზღუნა იატაკმა. ბავშვს ისინი ნაწირობის ნატეხებით დაეხატა. მამა მიუახლოვდა დახატულ სამკუთხედებს. შეამოწმა მათი კუთხეების სისწორე.

— როგორ მოახერხე ეს? — აღტაცებით შეეკითხა მამამ, — შენ, ალბათ, რომელიმე სახელმძღვანელოდან გადმოხატე, არა?

— არა, მამიკო, სახელმძღვანელო თვალთაც არ მინახავს... და საერთოდ, არავითარი წიგნი არ ამოღია ხელში.

მამა დიდი გაოცებით შესცქეროდა შვილს. თორმეტი წლის ბლევ პასკალმა აღმოაჩინა, რომ სამკუთხედების საშევე კუთხის ჯამი 180-ის ტოლია.

ფრანგულიდან თარგმნა იონა ბაღაშიძემ.



მამა-შვილი: სსრ კავშირის გმირი ოთარ ჩეჩელაშვილი და კინომსახიობი — გრიგოლ ჩეჩელაშვილი. 1945 წ. 24 სექტემბერი.

პირველი არსენა

კინომსახიობი
გრიგოლ
ჩეჩელაშვილი



კადრი ფილმიდან „არსენა ყაჩაღი“. არსენა — გრიგოლ ჩეჩელაშვილი. ნენო — ნატო ვაჩნაძე.

თეატრს თუ ყოველთვის თავისი კონკრეტული დასი ჰყავს და ძირითადად სწორედ მას ეყრდნობა, კინოს სამსახიობო არსენა-ლი ჰემპარიტად თავისუფალია ამგვარი შეზღუდვისაგან — აქ, როგორც წესი, საჭიროებისდა მიხედვით იწვევენ მსახიობებს. ამიტომ ხშირად ჩნდება ახალ-ახალი სახელები. რომელთა შორის ზოგი გაელვებისთანავე ქრება, ზოგი კი სამუდამოდ შემორჩება ეკრანს.

ეს უკვე კინოს მყარი ტრადიციაა და, ამდენად, ფუჭია ყოველგვარი სერიოზული მტკიცება იმისა, თითქმის ე. წ. ტიპაჟის მეთოდი მხოლოდ 20-იანი წლების კინოს ახასიათებდა. ამჟამად კი სწორედ ეს პერიოდი გვიანტერესებს. ამ დროისათვის ქართული კინოც ისევე იყენებდა (და დღესაც იყენებს!) ტიპაჟს, როგორც რუსული თუ ნებისმიერი ქვეყნის კინემატოგრაფი. დასაბამზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველივე ამას თეორიული დასაბუთება-გამართლება მისცა ს. ვიზენშტეინისა და ლ. კულეშოვის შემოქმედებითმა ძიებებმა, რომელთა ძირითადი და საერთო აზრი ის იყო, რომ კინოს გამოემუშავებინა თავისი ენა, საკუთარი სპეციფიკური ხერხები და საშუალებანი, ერთხელ და სამუდამოდ თავი დაეღწია ყალბი თეატრალური შტამებისაგან და საერთოდ, თეატრის ბრმა მიბაძვისაგან. განსხვავება კი იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ლ. კულეშოვი აღიარებდა აქტიორთან მუშაობას, ს. ვიზენშტეინი მთლიანად უარყოფდა, ვიმეორებთ, იმ პერიოდში პროფესიონალ მსახიობებს (გაიხსენეთ მისი ფილმები: „გაფიცვა“, „ჯავშნოსანი“, „პოტიომკინი“, „ოქტომბერი“).

ასეთია ზოგადთეორიული წინამძღვრები ამ საკითხისა. პრაქტიკულად კი, ცნობილია, თუ რაოდენ მოზღვავეა 20-იანი წლებში ტიპაჟები ეკრანზე. მარტო ნატო ვაჩნაძე და კონტა ყარალაშვილი გავიხსენოთ, ან, მოგვიანებით, სპარტაკ ბალაშვილი...

როგორც ხედავთ, ვახსენებთ მხოლოდ მათ, რომელთა მოწვევა კინოში არ ყოფილა შემთხვევითი და, რომელთაც შემდგომ ნაყოფიერად გააგრძელეს შემოქმედებითი გზა. სწორედ ასეთი გახლდათ დღეს მივიწყებული კინომსახიობი გრიგოლ ჩეჩელაშვილი (1894-1951), რომელსაც თავისი შესაშური გარეგნული მონა-

ცემების გამო 1923 წელს შესთავაზეს კინოში სახალხო გმირის — არსენას როლის შესრულება. არსენას სატრფოს როლისათვის კი, როგორც ცნობილია, 19 წლის მომზივლელი გოგონა მოიწვიეს, რომლის სახელი — ნატო ვაჩნაძე ერთი წლის შემდეგ ქართული კინოს სიმბოლოდ იქცა. აი, ასე სვედენდირად შემოდგა ფეხი კინოში გრიგოლ ჩეჩელაშვილმა, ლეგენდარული ნატო ვაჩნაძის პირველმა პარტნიორმა.


გრიგოლ ჩეჩელაშვილი მხოლოდ ქართულ ფილმებში როდი მონაწილეობდა. ამის დასტურია 20-40-იან წლებში მოსკოვის, ტაშკენტის და იალტის კინოსტუდიებში გადაღებული კინოსურათები, რომლებშიც იგი მთავარ როლებს ასრულებდა.

თავისი უკანასკნელი როლი გრიგოლ ჩეჩელაშვილმა ისევ ქართულ ფილმში შეასრულა — ეს იყო „ოქროს ბილიკი“ (რეჟისორი კ. პიბინაშვილი, 1945 წ.), რომელშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე ნ. გვარამია, კ. დაუშვილი, ბ. ანდრეევი, ლ. აბაშიძე...

სწორედ ამ ფილმის პრემიერის დროს არის გადაღებული ერთ-ერთი ფოტოსურათი. მასზე აღბეჭდილია გრიგოლ ჩეჩელაშვილი და მისი ვაჟიშვილი — საბჭოთა კავშირის გმირი ოთარ ჩეჩელაშვილი.

წლების მანძილზე როგორღაც მიჩრდილული იყო გრიგოლ ჩეჩელაშვილის სახელი, ალბათ იმის გამო, რომ მის ფილმებს კარგა ხანია, აღარ ღირსებით ეკრანი. 1979 წელს აღმანახ „კინოში“ გამოქვეყნდა ორი პატარა საინფორმაციო ხასიათის წერილი (ავტორები ნ. კვეციანი და ალ. გვენცაძე) და ერთი ფოტოსურათი. იმავე წელს აღდგენილი იქნა „არსენა ყაჩაღი“ (აღდგენის რეჟისორი ზ. ხინთიბიძე), რომელმაც მაყურებელთა დიდი ინტერესი და ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია. სწორედ ამ გამოხმაურების შედეგად დაგვიგროვდა გრიგოლ ჩეჩელაშვილის მრავალი, ჩვენთვის დღემდე უცნობი ფოტოსურათი, რომელთა უმეტესი ნაწილი მისმა შვილიშვილებმა — დალი და ჯონი ჩეჩელაშვილებმა გამოგვიგზავნეს.

გიორგი დოლიძე



ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა აფრიკის კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. მის ტერიტორიული სიდიდით აფრიკის სახელმწიფოთა შორის მეორე ადგილი უკავია. მოსახლეობა ძირითადად არაბებისა და ბერბერებისაგან შედგება.

ალჟირში ბერბერები ეთნიკურ უმცირესობას შეადგენენ. მათ აქვთ საკუთარი სალაპარაკო ენა, რომელსაც (თურაგების ენის გამოკლებით) დამწერლობა არა აქვს. ალჟირში მცხოვრები ბერბერების თითოეული ჩგუფი თავის საკუთარ დიალექტზე

ლაპარაკობს. ყველა ისინი ძირითადად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ბერბერული ენა ძველი ლიბიური ენიდან წარმოიშვა.

ალჟირელი ბერბერები რამდენიმე ჩგუფად იყოფიან. მათგან ყველაზე გავლენიან და მრავალრიცხოვან ჩგუფს კაბილბი წარმოადგენენ. წარმოშობით ისინი ალჟირის აღმოსავლეთით მდებარე მთიანი რაიონიდან არიან.

კაბილბები ძირითადად სოფლად სახლობენ. ისინი თითქმის ერთნაირი ზომის პატარა სახლებში ცხოვრობენ. სოფელში შესასვლელი ძალზე მოხერხებულ და შეუშინეველ ადგილას არის გაკეთებული. კაბილბები ძირითადად მეზღვრობას მისდევენ, მოჭყავთ ზეთისხილი, ლეღვი, მარ-

ცვლელი კულტურებიდან — ქერი და ხორბალი. გარდა ამისა, კაბილბები მესაქონლეობასაც მისდევენ, რაც მიწათმოქმედებასთან შედარებით ნაკლებადაა განვითარებული. ადრე მიწა ძირითადად ერთ დიდ ოჯახს ეკუთვნოდა, რომელიც განუყოფლად ბატონობდა, მაგრამ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება ასეთი მიწათმფლობელობის რღვევა. კაბილბაში საძოვრები კოლექტიურ სარგებლობაშია და მთლიანად სოფელს ან ტომს ეკუთვნის.

კაბილბთა საზოგადოებაში ყველაზე მცირე სოციალური უჭრედი რაჯობრივად დიდი ოჯახური გაერთიანებაა, რომლის წევრები მეოთხე ან მეხუთე თაობის ერთი და იგივე წინაპრისაგან არიან წარმოშობილი. ოჯა-



ბერბერები.

ხური გაერთიანების მეთაურად ოჯახის უფროსი ითვლება. გარდა ამისა, მასში წამყვან როლს უხუცესი რელიგიური პირი და მოსამართლე ასრულებს. მათი ავტორიტეტი უსაზღვროდ მაღალია გაერთიანების სხვა წევრებს შორის. ისინი განსაზღვრავენ ყოველი ოჯახის საქმიანობას და მათ ადგილს კაბილთა საზოგადოებაში. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ ურჩობისათვის ან შეუფერებელი საქცილისათვის მკაცრად დასაჯონ ესა თუ ის პირი, ან მთელი ოჯახი. ასეთი სასჯელია მემკვიდრეობის ჩამორთმევა ან რელიგიური შეჩვენება.

ოჯახის უფროსის შეუზღუდველ ძალაუფლებას იურიდიული სტატუსიც მქონდა. ფაქტობრივად ოჯახური გაერთიანების ან საზოგადოების ქონება საერთოდ და განუყოფელი იყო. ეს ფაქტი თავისებური მორალური და ეკონომიკური თანასწორობის საფუძველსაც წარმოადგენდა. საზოგადოებაში შემავალ ყველა ოჯახს ან მის ცალკეულ წევრს საერთო ქონებიდან თავისი კუთვნილი წილი ერგებოდა. მემკვიდრეობის უფლებით მხოლოდ მამაკაცი სარგებლობდა. მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი მთელი ქონება ახლო ნათესავი მამაკაცის ხელში გადადიოდა.

ალჟირელ ბერბერთა მეორე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ შავები. ისინი კაბილების მახლობლად აღმოსავლეთ ალჟირის მთიან რაიონში სახლობენ. მათთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი მიგრაცია ალჟირის მსხვილ ქალაქებში ან კიდევ ეგროპის სხვა სახელმწიფოებში. შავების სოციალური და ტომობრივი ორგანიზაცია კაბილებისაგან არაფრით არ განსხვავდება.

ალჟირში მოსახლე ბერბერების სხვა ეთნიკური ჯგუფებიდან აღსანიშნავია აგრეთვე თუარეგები და მოზაბიტები. თუარეგები, სხვა დანარჩენი ბერბერებისაგან განსხვავებით, ალჟირის გარდა სახლობენ ნიგერის, ჩრდილოეთ მალის, სამხრეთ დასავლეთ ლიბიის და სუდანის ტერიტორიაზე. ალჟირში თუარეგები ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ცხოვრობენ, რომელსაც აპაგარი ეწოდება. უძველესი დროიდან თუარეგები მესაქონ-

ლეობას მისდევენ. ისინი ხშირად მომთაბარეობდნენ, ხოლო ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XIX საუკუნის ბოლომდე მათი ძირითადი საარსებო წყარო აპაგარის ტერიტორიის გარეთ მცხოვრები სხვა ადგილობრივი ტომების და ხალხების ძარცვა იყო. ისინი აგრეთვე კონტროლს უწევდნენ ბევრ საქარავნო გზასაც. მშვიდობისმოყვარე კაბილებისა და შავებისაგან განსხვავებით, თუარეგების ტომებს შორის ხშირი იყო შუღლი და მტრობა.

სოციალური თვალსაზრისით, თუარეგები დაყოფილი იყვნენ წარჩინებულებად და მათზე დამოკიდებულებად. ტომს განაგებდა უმაღლესი სამხედრო და სასულიერო პირი — ბელადი, რომელსაც ამენუკალს უწოდებდნენ. არც თუ იშვიათად, თუარეგების ერთ წარჩინებულ ტომს რამდენიმე ვასალური ტომი ემორჩილებოდა, როგორც ძველად, ისე საფრანგეთის კოლონიური რეჟიმის დროს (1830-1962 წწ.). ალჟირელ თუარეგებში ფართოდ გამოიყენებოდა მონური შრომა. იმ დროს, როდესაც წარჩინებული ტომები სალაშქროდ მიდიოდნენ, ვასალები დაკავებული იყვნენ სამეურნეო საქმიანობით: აძოვებდნენ პირუტყვს, ვაჭრობდნენ ფინიკით და მარცვლეულით. მე-19 საუკუნის ბოლოს თუარეგებით დასახლებულ რაიონებში ვაჭრობა უკვე საკმაოდ კარგად იყო განვითარებული. ისინი აპაგარში მარილის მდიდარ საბადოებს ფლობდნენ. საქარავნო ვაჭრობის განვითარება ხელს უწყობდა თუარეგებს, გაეცანათ მარილი ნიგერიაში, სადაც მას ფეტვზე ცვლიდნენ. ამავე დროს ვითარდება მიწათმოქმედებაც. თუარეგების მიწებს ჯერ დაქირავებული უცხოტომელები ამუშავებდნენ. შემდეგ კი მათაც ისწავლეს მიწის დამუშავება. მიწათმოქმედების განვითარებაში დიდ როლს ასრულებდნენ მონებიც: საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბევრი თუარეგი წარჩინებული იშვილებდა ხოლმე თავის მონას, ხოლო მონის დაქორწინების შემთხვევაში წარჩინებული მას მშეთეს აძლევდა. ხშირად იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მონათმფლობელი მონაზე ქორწინდებოდა.

მონები აპაგარში არ წარმოადგენდნენ პოლიტიკურ კლასს (როგორც მაგალითად, მონათმფლობელურ სახელმწიფოებში), ამიტომაც ნებადართული იყო მონაზე ქორწინება. თუ წარჩინებული თუარეგი თავის მონას ქალს შეირთავდა, მათ შვილებს ნამდვილ თუარეგებად მიიჩნევდნენ, სხვა მონა ქალზე დაქორწინების შემთხვევაში კი მათი შვილი ნამდვილ თუარეგად არ ჩაითვლებოდა. მონები მფლობელობაში მემკვიდრეობით გადაეცემოდნენ. ისინი თუარეგების საზოგადოების ნაწილს შეადგენდნენ.

რაც შეეხება მოზაბიტებს, ისინი თუარეგების მსგავსად ალჟირის სამხრეთ ნაწილში ცხოვრობენ. თითქმის 560 კილომეტრზე არის გადაჭიმული საპარაში მოზაბიტებით დასახლებული ტერიტორია. ამ უნაყოფო უდაბნოს ნაწილს შუაზე ჰყოფს მდინარე მზაბი, რომლის ხეობაც მკიდროდ არის დასახლებული. მდინარე მზაბის ხეობას მოზაბიტთა ხუთი ლამაზი ქალაქი ამშვენებს, ისინი ერთმანეთთან ახლოს, მიუოღებოდგანან ისე, რომ ერთი ქალაქიდან თავისუფლად შეიძლება რამდენიმეს კარგად დანახვა. ყველა ეს ქალაქი XI საუკუნეში დაარსდა, მათ გარეშე მოქვიტაირის კედელი აქვთ შემოვლებული, კედელს იქით კი კარგად მოჩანს მერითები თავიანთი მინარეთებით.

მოზაბიტების უმრავლესობა მუსლიმანია და მისდევს ისლამური პურიტანიზმის მკაცრ და განსაკუთრებულ მიმდინარეობას. ისინი ხარიჯიტ იზაბიტებად იწოდებიან.

მოზაბიტების ტომს სათავეში შეიხი უდგას. იგი უმაღლესი რელიგიური პირია. ხშირად მოზაბიტთა ტომების უხუცესები თავიანთი შეკრებებს სასაფლაოზე მართავენ, წინაპართა ტრადიციებისა და ავტორიტეტისადმი პატივისცემის ნიშნად. მოზაბიტების მოსამართლე (ყადი) ხელმძღვანელობს როგორც უურანის მითითებით, ასევე ადგილობრივი წესებითა და ადათებით. ამა თუ იმ წესის ან ადათის დარღვევის შემთხვევაში მოზაბიტთა კანონმდებლობა სასტიკად სჯის საზოგადოების ურჩ წარმომადგენელს. გათვალისწინებულია არკაული სასჯელები, როგო-

რიცია: ჯობით ცემა, ტომიდან ან საზოგადოებიდან გაძევება, დაჯარიმება, რელიგიურ წესწესებებთან ურჩეულობის უფლებები, ჩამორჩევა (ყველაზე სასტიკ და მკაცრ სასჯეტიად ითვლება).

გაკვირვებას იწვევს არა მარტოს ფაქტი, რომ უდაბნო ადგილას მოზაბიტებმა შეძლეს ქალაქების და ბალების აშენება, არამედ ისიც, რომ რამდენიმე ასეული წლის მანძილზე ისინი მკვიდრად სახლობენ მდინარე მზაბის ხეობაში, იმ დროს, როდესაც ალჟირში მცხოვრები სხვა ბერბერები მოუსავლიანობის წლებში ხშირად იცვლიდნენ ადგილსამყოფელს. ზოგჯერ მოზაბიტებიც მიდიოდნენ ქვეყნის სხვა რაიონებში, მაგრამ მათგან მხოლოდ მცირედი ნაწილი ტოვებდა მშობლიურ ადგილს და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებრივი მილოდა. საერთოდ ბერბერთა მიგრაციები თანამედროვე ალჟირის მსხვილ ქალაქებში საკმაოდ ვაჭვრდა. დიდი რაოდენობით მიემართებიან ბერბერები საზღვარგარეთაც, იტალიასა თუ საფრანგეთში, ფრ-სა თუ ესპანეთში. მაგრამ მოზაბიტთა ეთნიკურ ჯგუფს, ისევე როგორც წარსულში, დაშლის საშიშროება არც ამჟამად ემუქრება. ეს იმით აიხსნება, რომ მოზაბიტ ქალს მზაბის დატოვების უფლება არა აქვს. ემიგრაციაში წასულ მოზაბიტ მამაკაცს არ შეუძლია, თან წაიყვანოს მუუღელი და შვილები. სწორედ ასეთი კანონის წყალობით ხდება მოზაბიტთა ეთნიკური ჯგუფის მთლიანობის შენარჩუნება. ამიტომ ფრანგი მკვლევარი — უილიამ მარსე, სახეებით სამართლიანად, ქალებს მოზაბიტთა საზოგადოების არმატურას უწოდებდა.

ალჟირის მეორე დამოუკიდებლობის მოაზრების შემდეგ (1962 წ.) კაბილიაში, აპაგარში, მზაბში და ბევრ სხვა ბერბერულ რაიონში, ფართო მასშტაბით გაატარეს ადგილობრივი მოსახლეობის არაბიზაცია. ქვეყნის ამ რაიონში ბევრი აღმინისტრაციული პოსტი არაბებმა დაიკავეს. ამასთანავე რელიგუზიულები დარჩა ბერბერების კულტურა, ადათები და წეს-ჩვეულებანი. ამჟამად ბევრ ბერბერულ ტომში გაუქმებულია ბელადის თანამდებობა, ზოგან მას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, ბევრ ბერბერულ დასახლებაში კოოპერატივები შეიქმნა, შეიზღუდა ტომების მომთაბარე ცხოვრება, თანდათან წაიშალა მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია, ეს ძირითადად შეეხო კაბილებს, შავებს, ნაწილობრივ თუარეგებს. შედარებით ნაკლებად მოზაბიტებს, რომლებიც თავიანთი წყობის ორიგინალურ ფორმას კვლავ ინარჩუნებენ. თანამედროვე ალჟირის მოავრობას მიანიჩა, რომ არაბიზაციის ჩატარების, საყოველთაო განათლების შემოღების, ინდუსტრიალიზაციისა და პოლიტიკური განვითარების საფუძველზე მოხდება ალჟირელი ბერბერების სრული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია.

ზაზა მინთაშაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატი.



ფუნით სიარული ჯანმრთელობის სანიღარი

თიბურავ თოვრია,
სამხრეთკავკასიის სსრ ჯანმრთელობის დაცვის
სამინისტროსთან არსებული 80-4 მთავარი
სამხრეთკავკასიის უფროსი;
რომანოვ სვანიძე,
80-4 მთავარი სამხრეთკავკასიის სამკურნალო
ფიზიკულტურის მთავარი კონსულტანტი,
სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე.



ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებელია მოძრაობა, ხოლო მოძრაობის შეზღუდვა ანუ ჰიპოკინეზია, კი ხელს უწყობს სხვადასხვა სახის პათოლოგიის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ჰიპოკინეზიისა და მისი გართულებების მკურნალობა და პროფილაქტიკა ისევე და ისევე მოძრაობით (ვარჯიშით) ხორციელდება.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ჰიპოკინეზიის პროფილაქტიკის ყველაზე მძლავრი საშუალებაა.

სწორედ ფუნით სიარულის მეშვეობით წარმოებს ადამიანის ორგანიზმში მთელი რიგი სასიცოცხლო პროცესების გააქტიურება. სიარული მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესების წარმატებით წარმართვას. ასე, მაგალითად: სიარული შედეგად უზრუნველყოფს გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის ფუნქციური მდგომარეობა, მალდება ნერვული სისტემის ტონუსი. ასევე უზრუნველყოფს კუნთების შეკუმშვა-გაფართოება, სახსრებში მოძრაობა, საქმლის მომწივებელი სისტემის ფუნქცია და სხვა.

მოსახლეობაში გავრცელებულია აზრი, მის შეხება, რომ ადამიანის ჯანმრთელობისათვის სირბილს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ფუნით სიარულს, რაც არ არის სწორი. მართალია, ფუნით სიარული არ იძლევა ადამიანის ორგანიზმში ბიოლოგიური პროცესების მხრივ ისეთ ცვლილებებს, როგორც ამას ადგილი აქვს სირბილის დროს, მაგრამ საშუალო და ხანშიშესულ ასაკში ფუნით სიარული იწვევს თვალსაჩინო ფიზიოლოგიურ ძვრებს, რასაც შეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ორგანიზმში ბიოლოგიური ტონუსის ასაწევად.

მრავალი მეცნიერული დაკვირვებით არის დადგენილი, რომ სიარულის ზეგავლენით ხდება გულის კუნთის გაფართოება, რის შედეგადაც უზრუნველდება მისი კუმულაციის ფუნქცია. ადამიანებს, რომლებიც სისტემატურად ფუნით დადიან, ნაკლებ შემთხვევაში აქვთ გულის მუშაობის რიტმის დარღვევა. ფუნით სიარული მარეგულირებელ შემოქმედებას ახდენს, როგორც მომატებულ, ისე დაქვეითებულ არტერიულ სისხლის წნევაზე. სიარულის პროცესში ხდება კაპილარებში სისხლის თანაბრად გადანაწილება, ხოლო სიარულის შემდეგ ნივთიერების (პისტამინი, აცეტალდეჰიდი და სხვა) გამოყოფა, რომლებიც თავის მხრივ აფართოებენ არტერიული სისხლის ძარღვების კედლებს და ამით ხელს უწყობენ მომატებული სისხლის წნევის (ჰიპერტენზიის, ჰიპერტონიის) ნორმის ფარგლებში გაჩერებას. სწორედ ამიტომ არის, რომ დღეს არ ითვლება მიწანქონილად, ავადმყოფი არტერიული სისხლის წნევის მკვეთრი მომატებისას (კრიზი) ხანგრძლივად რჩებოდეს საწოლში. ავადმყოფს ექიმმა უზრუნველყოს, ურჩიოს სუფთა ჰაერზე სეირნობა. ასეთივე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ფუნით სიარულის დროულად დაწყებას გულის იშემიური დაავადების, კერძოდ კი, გულის კუნთის ინფარქტის მკურნალობის დროს.

სუნთქვის გადამწვევით მნიშვნელობა აქვს ადამიანის სიცოცხლისათვის, ამიტომ სუნთქვითი ფუნქციის გაუმჯობესებას ყველა ასაკში უნდა ექცეოდეს სათანადო ყურადღება. სიარულის დროს

თვალსაჩინოდ უმჯობესდება სუნთქვა—გაზთა ცვლა, რაც ფილტვების ვენტილაციის გაზრდის ხარჯზე წარმოებს. ამიტომ, ადამიანებმა, რომლებიც ძირითადად მოძრაობენ ტრანსპორტით (ავტომანქანებით), სიარულს და სირბილს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ, ვინაიდან მათ ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვნად უმცირდებათ სასუნთქვი ზედაპირი (ფილტვების სასიცოცხლო ტევალოზა), ხოლო ამ უკანასკნელის პროგრესიულად შემცირებას დღეს ამერიკელი მკვლევარები ერთერთ რისკ ფაქტორად მიიჩნევენ გულის კუნთის ინფარქტის განვითარების საქმეში. უმძობლობის დროს ორგანიზმში კუნთების მოქმედების მხრივ „შიმშილს“ განიცდის, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ „ჟანგბადის“ შიმშილს იწვევს.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ადამიანთა საქმაოდ დიდ ნაწილს აღნიშნება სხვადასხვა ნივთიერების ცვლის დარღვევა (სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი, მარინების ცვლის მოშლა და სხვა). წარსულში ბევრი ავადმყოფი, სიმსუქნის დაავადებული, ცდილობდა მიეღო ესა თუ ის მედიკამენტი, რამაც პრაქტიკულად ორგანიზმზე უარყოფითი ზეგავლენის გაზრდა სხვა არაფერი არ მოგვცა. დღეს უმრავლესობა გატაცებულია სხვადასხვა დიეტითა (ამერიკული, ჩინური, იაპონური, ფრანგული და სხვა) და განსაკუთრებით შიმშილით მკურნალობით, რაც ასევე არასწორია. სიმსუქნის მკურნალობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულად დამუშავებულ დიეტებს, განმტკიცებელ დიეტებს, და, რაც მნიშვნელოვანია, ფიზიკური დატვირთვის რაციონალურად გამოყენებას. ფუნით სიარული სხვადასხვა ტემპსა და სხვადასხვა მანძილის გავლით წარმოადგენს იმ ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას, რომლის საშუალებით ძალიან ეფექტურად შეიძლება სიმსუქნის მკურნალობა და პროფილაქტიკა. მედიცინაში აღწერილია ბევრი შემთხვევა, როდესაც ფუნით სიარულის მეშვეობით (შორი მანძილის გავლა, ნადირობა და სხვა) ბევრი მსუბუქი ფორმის შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ავადმყოფი განკურნებულია. ამ დროს ორგანიზმში ზედმეტი რაოდენობით ითვისებს შაქარს. ასევე დადებითად მოქმედებს სიარული სხვადასხვა ოსტეონდროზებზე (სახსრებში მარილების დეპოზიტები). პრაქტიკულად მოძრაობა ამ დაავადების ძირითადი მკურნალობის საშუალებაა.

დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ყველა პროფილის კურორტზე — ავადმყოფების მინერალური წყლით, კლიმატით, ზღვის აბაზანებით მკურნალობის დროს თერაპიული ეფექტი თვალსაჩინოდ იზრდება მაშინ, როდესაც ავადმყოფები კურორტული ფაქტორებით მკურნალობას სათანადოდ უზამებენ ფუნით სიარულსა და სამკურნალო ფიზკულტურას.

ფუნით სიარულს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მთელი რიგი დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის საქმეში. ადამიანმა, თუ მას არა აქვს ძირითადი წინააღმდეგჩვენებანი: მაღალი ტემპერატურა (38,0-ზე მეტი), ტკივილები, ორგანიზმის ინტოქსიკაცია, დეკომპენსაციის მდგომარეობა ან კიდევ სისხლდენის განვითარების საშიშროება, ყოველდღიურად ფუნით უნდა იაროს იმ დატვირთვის შესრულებით, რომელიც შეესაბამება როგორც მის ასაკს, ისე მისი ორგანიზმის ჯანმრთელობას, ფიზიკურ განვითარებასა და ფუნქციურ

მდგომარეობას. ამის გადაწყვეტა კი ყველაზე უკეთესად ექიმს შეუძლია.

ცნობილია, რომ ჯანმრთელი ადამიანისათვის ძლიერ ნელ სიარულად ითვლება წუთში 30-50, ნელ — 50-80, საშუალო — 80-100, აქტიურად — 100-120, ჩქარი — 120-140 და ძლიერ ჩქარი — 140-ზე მეტი ნაბიჯის გავლა. ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ადამიანმა წონაში დაკლების მიზნით აუცილებლად უნდა იაროს ტემპით — წუთში 120-180 ნაბიჯი (თვლა წარმოებს მარცხენა ფეხზე და მიღებული რიცხვი მრავლდება ორზე), ვინაიდან სხვა შემთხვევაში ორგანიზმში არ ხდება ცხიმის დაწვა. დასაშვებია, რომ ყოველდღიურად 10-12 კილომეტრი გავიაროს. რასაკვირველია, აღნიშნული მანძილის ერთბაშად გავლა არ ხდება და იგი დღის განმავლობაში ნაწილდება, იაპონელი მკვლევარები გვიჩვენებენ დღეში 10.000 ნაბიჯის შესრულებას, რაც სპეციალური ნაბიჯმომის საშუალებით შეიძლება იქნეს განსაზღვრული. არსებობს აზრი იმის შესახებაც, თითქოს ადამიანმა ყოველდღიურად 20-30 კილომეტრი უნდა გაიაროს, რაც აბსოლუტურად ჯანმრთელ და გავარჯიშებულ პირებისათვის არის დასაშვები.

ჯანმრთელმა ადამიანმა დასაწყისში უნდა გაიაროს ფუნით წუთში 70-90 ნაბიჯი. პულისის სიხშირე წუთში 90-100 დარტყმას უნდა უდრიდეს. გაანგარიშება ხდება ფორმულით: 140-150 გამოკლებული ასაკი (თუ ადამიანის ასაკი უდრის 50 წელს, მაშინ 140-50=90 ე. ი. ეს პირი წუთში 90 პულისის სიხშირით უნდა დადიოდეს). ქალებს მამაკაცებთან შედარებით პულისის სიხშირე წუთში 5-10 დარტყმით შეიძლება მეტი აღმოჩნდეთ. აღსანიშნავია, რომ გავარჯიშების შემდეგ ერთი და იგივე მანძილის გავლისას შეიმჩნევა პულისის სიხშირის წუთში 5-10 დარტყმით შემცირება, რაც მიუთითებს მასზე, რომ ადამიანის გული ეკონომიურად იწყებს ფუნქციონირებას და ფიზიკური დატვირთვის (სიარულის) მიმართ ავლენს კარგი შეგუების (ადაპტაციის) უნარს.

კურორტებზე დამსვენებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს სპეციალური მანძილის გავლა დონორებელი სიარულით, რაც ტერენკუარის სახელწოდებით არის ცნობილი. ამ დროს ადამიანი დადის როგორც სწორ გზაზე, ისე სხვადასხვა გრადუსით დახრის კუთხის ქვეშ, ტემპში 100-მეტრი, 100-80-70 წამში. ამ დროს პულისის სიხშირის ზრდა წუთში 15-20 დარტყმით, ნორმალურ რეაქციად ითვლება. 20-25 დღის განმავლობაში დასაშვებია, რომ დამსვენებლებმა სხვადასხვა ტერენკუარის მანძილი 1,5—2 საათში 4-5-8 კილომეტრის სახით გაიაროს.

სიარულს დიდი მნიშვნელობა აქვს გულის კუნთის ინფარქტის გადატანის შემდეგ. ამ დროს დასაწყისში ავადმყოფი დადის წუთში 40-60 ნაბიჯით, შემდეგში კი მოძრაობის ტემპი 70-80 და მეტ ნაბიჯამდე აღის. პირველად სიარულის დრო 10-15 წუთით განისაზღვრება, ხოლო 1-2 თვის შემდეგ ერთჯერადად სიარული შეიძლება 1-1,5 საათამდე გაგრძელდეს.

დღეს ექვი არავის უნდა ეპარებოდეს იმაში, რომ ფიზიკური დატვირთვა (ვარჯიში) დადებით ზეგავლენას ახდენს ორგანიზმზე. ფუნით სიარული მოძრაობის ის ძირითადი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ჯანმრთელობის შენარჩუნება.

მეტი სიყვარული..

დღორითი პარკერი

ჭრელპალსტუხიანმა ახალგაზრდა კაცმა ნერვიულად დახედა მაქმანებიან კაბაში გამოწყობილ გოგონას, რომელიც ტახტზე იჯდა და ისე გულმოდგინედ ათვალიერებდა და ჩაჰკირკიტებდა თავის ცხვირსახოცს, თითქოს ამდაგვარი რამ არასოდეს ენახა. ახალგაზრდა კაცმა ჩახველა, მაგრამ გოგონას ყურადღება მაინც ვერ მიიქცია.

— გინდა სიგარეტი? — უთხრა ბოლოს.
— დიდად გმადლობ, ნუ შეწუხდები. უღრმესი მადლობა!
— სამწუხაროდ მხოლოდ ესლა შემჩნა. საშენო სიგარეტი არა გაქვს?
— მართალი რომ ვითხრა, არც ვიცი. ალბათ, მაქვს. გმადლობ!
— იცი, რატომ გეკითხები? თუ არა გაქვს, ახლავე ამოგირბენინებ მალაზიიდან.
უბრალო რამისთვის ასე როგორ შეგაწუხებ? დიდად ვაფასებ შენს თავგანწირვას. დიდი მადლობა!
— თუ ღმერთი გწამს, მორჩი რა?
— ნამდვილად არ ვიცი, ისეთ რამეს თუ ვამბობდი, რისი თქმაც არ შეიძლებოდა. ძალიან ვწუხვარ, თუ გაწყენინე. ვიცი, რა მწარეა, გულს რომ გატკენენ. მაგრამ ეს აღარ გამიგია, კაცს მადლობას უხდიდნენ და ის კი ილანძლებოდეს.
არც მიფიქრია შენი გალანძვლა.
— რას ბრძანებ? მართლა? ეგლა მაკლია!
— ღმერთო ჩემო, მე მხოლოდ შეგეკითხე, სიგარეტი ხომ არ მოგიტანო-მეთქი. ამის მეტი არა დამიშავებია რა. გაგონილა, ამაზე აფეთქება?
— კი მაგრამ, ვინ ფეთქდება? ნამდვილად არ მეგონა, თუ ჩემი პასუხით სისხლის სამართლის დანაშაულს ჩავდიოდი. გამოვსულიყავი და ეგ არის.
— ბოლოსდაბოლოს მოგიტანო სიგარეტი, თუ არა?
— ღმერთო ჩემო, თუ ასე ძალიან გინდა წახვლა, შეგიძლია წაბრძანდე. აქ დარჩენას არავინ გაძალბებს.
— იცი, როგორი ხარ?
— როგორი? ძალიან ჩვეულებრივი!
— მითხარი, რა მოხდა?
— არაფერიც არ მომხდარა. რატომ მეკითხები?
— მთელი საღამო სასაცილოდ იქცევი. რაც მოვედი, კეთილად სიტყვა არ გაგიმტკნებია ჩემთვის. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერაფრით შეგიქცევ. დღის გულსათვის, ნუ დაიტანჯავ თავს. დარწმუნებული ვარ, სხვაგან უკეთესად გაერთობი. მე მხოლოდ ის მწყინს, რომ ადრე წარმოადგენაც არ შემეძლო ამაზე. შენ მითხარი, საღამოს მოვალო და მე ყველაფერი გადავდე. სახლიდან ფეხი არ მომიცვლია, თეატრშიც კი არ წავყევი არავის. მაგრამ მერე რა? შენ თავისუფლად შეგიძლია სხვაგან წახვიდე და მშვენივრადაც გაერთო. ჩემთვისაც უკეთესია. არც თუ ისე სასიამოვნოა, იჯდე და თავს აბეჭერდე ადამიანს.
— სულაც არ გაბეჭრებ თავს. არსადაც არ მივდივარ. ჩემო კარგო, აღარ მტყუნი, რა დავემართა?
— წარმოადგენა არა მაქვს, რაზე ლაპარაკობ. ნეტა, ვიცი, რა გინდა?
— ძალიან კარგადაც იცი, რაც მინდა. ალბათ, რაღაც ხდება. დავაშავე რამე?
— ღმერთო ჩემო, სულაც არ მაინტერესებს, რამე დააშავე თუ არა? რა უფლება მაქვს, შენს საქმეებში ჩავერო.
— აღარ მოგებურდა ასეთი ლაპარაკი? არ გაჩერდები?
— მაინც როგორი ლაპარაკი?

— ჩემზე უკეთ იცი, როგორიც. ტელეფონით შელაპარაკე და ახლაც აგრძელებ. დღეს რომ დაგირეკე, ისე იყავი ვაცოფებული, ხმის ამოდებისაც შეშეშინდა.
— რა თქვი, რა იყავო?
— კარგი ზო, ბოდიშს გისდი, არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ შენ ისე დამაზნინე...
— იცი, რას გეტყვი? ამგვარ საყვედურებს არა ვარ ჩვეულო!
— თუ არ ვცდები, უკვე ბოდიში მოგიხადე. უნებურად წამომცდა... ხომ მაპატიებ?
— გაპატიებ, აბა, რას ვიზამ? ღმერთო ჩემო, რა მოვალე ხარ, ბოდიში მიხადო? ამით არაფერი იცვლება. უბრალოდ, ცოტა არ იყოს, სასაცილოა, ჭენტლმენი კაცი სახლში მოვლიოდე და ასე გელაპარაკებოდეს. ეს არის და ეს. მაგრამ არა უშავს, მოვითმენო.
— როგორც ჩანს, შენთვის სულერთია, რას ვიტყვი. ძალიან აღრენილი ჩანხარ.
— აღრენილი? რატომ უნდა ვიყო შენზე აღრენილი?
— მეც სწორედ ამას გეკითხები! აღარ მტყუნი, რა დავიშავე? იქნებ გაწყენინე რამე? მას შემდეგ, რაც ტელეფონით გელაპარაკე, აღარ ვიცი, რა მექნა. ვერაფერი გავაკეთე. მთელი დღე გულხედავად ვიჯექი.
— ვწუხვარ, რაკი მუშაობაში ხელი შეგიშალე. ვნახოთ, რამდენი ქალი მოგიხდის ამისთვის ბოდიშს. მაგრამ რა? არც თუ ისე სასიამოვნოა, იჯდე და ვილაცის საყვედურებს ისმენდე. ხედავ, საქმეში ხელი შემიშალე!..
— მე ეს არ მითქვამს.
— არა? მე ასე ვავიგე. ალბათ, სულელი ვარ და ამიტომ.
— საოხს, წავიდე. ვატყობ, უფრო და უფრო გაღიზიანებ. რაც ვითხარი, ყველაფერზე გაცეცხლდი. მართლა ხომ არ წავსულიყავი?
— რაც გინდა, ისა ჰქენი. სულაც არა მსურს, აქ წრიადებდე, როცა გული სხვაგან მიგიწევს. რატომ იქ არ წახვალ, სადაც არ მოიწყენ? ასულიყავი ფლორენს ლიმინგთან. სიხარულით მიგიღებდა.
— რა მინდა ფლორენს ლიმინგთან? დანახა-დაც ვერ ვიტან!
— მართლა? გუშინ კარგად იტანდი ელსის წვეულებაზე, ისე გაგამწვრა, რომ მის გარდა, სხვას ვერვინ ხედავდი.
— იცი, რატომ ველაპარაკებოდი?
— ალბათ, მოგწონს. ზოგი იმასაც ამბობს, ლამაზიაო. ეს სავსებით ბუნებრივია!
— რა თავში ვიხლი მის სილამაზეს? სადმე რომ შემვხვდეს, ვეღარც ვიცნობ. იმიტომ ველაპარაკებოდი, რომ შენ ზედაც არ შემომხედე. რამდენჯერ შე ვცადე შენთან გამოლაპარაკება, შენ კი რით

მიპასუხე? მითხე როგორ ხარო და ზურგი შემაქციე. არც კი შემოგიხედავს ჩემთვის.
— არ შემომხედავს? აი, ეს კი მომწონს! მოდი, გავიცინებ რა?
— იმდენი იცინე, რამდენიც გენებოს, მაგრამ ჩემთვის რომ არ შემოგიხედავს, ეს ცხადია!
— ისე დასტრიალებდი ფლორენს ლიმინგს თავზე, ვიფიქრე, არავის დანახვა არ უნდა-მეთქი. ორივენი ისე მშვენივრად გრძნობდით თავს, ვეღარ გავხედე თქვენი მყუდროების დარღვევა.
— ღმერთო, შენ დამიფარე! რა ჰქვია იმ გოგონას? მოკლედი, როგორც კი ოთახში შემოვედი, არავის დანახვა აღარ მაცალა. პირდაპირ გამომიჭირა და ლაპარაკი დამიწყო. ზურგს ხომ არ შევაქცევდი?
— ეცადე, რომ ზურგი შეგექცია?
— შენთან გამოლაპარაკება რომ მინდოდა, ეგ ხომ შეამჩნიე? მაგრამ რა? აი, ეგეთი ხარ. მერე ისევ ის ამეტორღილა და ვეღარ მოვიშორე. ფლორენს ლიმინგი, ჩემი აზრით, საშინელებაა. დარწმუნებული ვარ, ცოტა აფრენს კიდევ.
— რა თქმა უნდა! მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ ბევრისაგან გამიგონია, მომხიბვლელიაო.
— აბა, მითხარი, შენს გვერდით მომხიბვლელი ის როგორ იქნება!
— საშინელი ცხვირი აქვს. ასეთი გოგონები ძალიან მეცოდება.
— მართლაც საზიზღარი ცხვირის პატრონია. შენ კი ძალიან ლამაზი ცხვირი გაქვს, მშვენივრად კი ეთქმის.
— რას ამბობ! გავიჟდე?
— თვალბეცი ლამაზი გაქვს, თმაც, ტურნეც და ხელებიც. მაჩვენე შენა ხელი. რა ლამაზია! ვის აქვს ასეთი ლამაზი ხელები დედამიწის ზურგზე. ვინ არის ყველაზე მშვენიერი გოგონა მთელ მსოფლიოში?
— არ ვიცი! ვინ?
— არ ვიცი! ძალიან კარგად იცი!
— არ ვიცი. ფლორენს ლიმინგი?
— ფლორენს ლიმინგი! ღმერთო, ნუ გამაგიჟებ. დირს კი ფლორენს ლიმინგი იმად, რომ ნერვები აიშალა? მე კი რა მიყავი? მთელი დღე თეთრად გავათენე და ვერც ვერაფერი გავაკეთე. შენისთანა გოგონამ რატომ უნდა აიტვიოს თავი ვილაც ფლორენს ლიმინგისათვის?
— ჩემი აზრით, შენ საბოლოოდ გავიჟდი. სულაც არ მადარდებს ფლორენს ლიმინგი. საიდან მოიტანე? გაგიჟებულხარ, ძვირფასო მოიცა, მოიცა. მარგალიტის მძივი არ გამოიწყვიტოს ახლავე მოვიხსნო, აი, ასე!..

ინგლისურიდან თარგმნა
ბარბაქაძე მარგალიტე

უცნაური კანონი

მექსიკაში დღემდე ბევრი მოქმედი კანონია შემორჩენილი. მაგალითად, ქალაქ ალამოსეში ახლაც მოქმედებს უცნაური კანონი, რომელიც ციხეს შეეხება. ამ კანონის მიხედვით, ციხის ზედამხედველი, რომელსაც პატიმარი გაეჭევა, საკანში უნდა დაამწყვდიდონ. დამწყვდეულმა ზედამხედველმა საკანში იმდენი ხანი უნდა დაჰყოს, რამდენიც გაქცეულ პატიმარს ჰქონდა მისჯილი.

რაკორდსმენი მოზაიკა

ამ მოზაიკის შექმნაში 3.505 ფინელი მხატვარი მონაწილეობდა. მოზაიკის სიგრძე კილომეტრნახევარია. მისი ფართობი 5.000 კვადრატულ მეტრზე მეტია. გრანდიოზულ მოზაიკაზე გამოსახული არიან გინესის გახმაურებული წიგნის „რაკორდსმენების“ პერსონაჟები. ფინელ მხატვართა მოზაიკამ თავისი სიდიდით მსოფლიოს რეკორდსმენობა დაიმსახურა.

მუსიკალური სკოლა ყრუთათვის

ინგლისის ქალაქ ჰალდესფილდის ეკლესიაში ორღანზე უკრავს ვინმე პოლ უაიტეკერი, რომელიც... ყრუა. პოლ უაიტეკერი ამჟამად 19 წლისაა. ყრუ ბიჭუნა ხუთი წლის იყო, როცა პიანინოზე დაკვრა ისწავლა და ყურადღება მიიქცია. სპეციალისტების გადაწყვეტილებით, პოლ უაიტეკერი ოქსფორდის უნივერსიტეტის მუსიკალურ კოლეჯში ჩარიცხეს უმაღლესი განათლების მისაღებად. ყრუ მუსიკოსის სურვილია, სწავლის დამთავრების შემდეგ გახსნას მუსიკალური სკოლა, რომელშიც მხოლოდ ყრუები ისწავლიან.

დრო წინ მიდის!

იუგოსლავიის ქალაქ დუბროვნიკის მცხოვრებნი არა მარტო სასიყვარულო პაემნებზე, არამედ სამსახურებშიც ხშირად აგვიანებენ. მდგომარეობის გამოსასწორებლად, ქალაქის მმართველობამ ასეთ ორიგინალურ საშუალებას მიმართა: ქალაქის მოედნებზე დაამონტაჟეს საათები, რომლებიც ორჯერ რეკავენ. საათები პირველად მაშინ რეკავენ, როცა, როგორც წესია, რომელიმე საათი შესრულდება. მეორე რეკვა კი სამი წუთის შემდეგ გაისმის. საათების მქუხარე ხმა ზარმაც და გულმავიწყ ადამიანებს მოუწოდებს — „იჩქარეთ, დრო წინ მიდის!“

გამოსავალი ნაკოვნი

ნიუ-იორკის ბერ მკვიდრს, რომელიც რაიმე საქმეზე, ანდა შევხულებით სხვაგან გაემგზავრება, უჭირს ახალ გარემოსთან შეგუება წლების მანძილზე შეჩვეული ხმაურის გარეშე.

საქმოსანმა ჩარლ სტეტლერმა გამოსავალი იპოვა. მის ფირმაში მსურველს შეუძლია, შეიძინოს მაგნიტოფონის კასეტა, რომელზეც ზუსტად არის ჩაწერილი „სასწრაფო დახმარების“ სირენების, პოლიციისა თუ სახანძრო რაზმის მანქანების ხმა, ქუჩის დემონსტრანტების შექაჩილები, ნიუ-იორკისთვის ტიპური სხვადასხვა ხმაური და აურზაური.

კვადრატული ხილი და ბოსტნეული

— ხილს და ბოსტნეულს მიეცეთ კვადრატული ფორმა! — ამ საკითხის გადასაჭრელად ბევრი სპეციალისტი მუშაობს. უკვე გახდა შესაძლებელი, მიეღოთ კვადრატული ფორმის კიტრი, პამიდორი, კარტოფალი. ამჟამად მიმდინარეობს ექსპერიმენტები კვადრატული ჭარხლის, სტაფილოსა და ვაშლის მისაღებად. კვადრატული ფორმის ხილი და ბოსტნეული უფრო გამძლეა, ადვილად იფუთება და შედარებით იოლი გადასახრდია.

მკითხავთა სიგომოზიუმი

თანამედროვე ტელევიზიის ეპოქაში, ჯერ კიდევ აქვთ გასავალ-სხუთი ჯურის თაღლითებს, როგორც არიან მკითხავები, სიზმრის ამომხსნელები, წინასწარმეტყველები, ჯადოქრები, შემლოცველები, ექიმბაშები. საფრანგეთში ამჟამად 3.000-ზე მეტი მკითხავა ცხოვრობს. ყოველწლიურად მათ, სულ ცოტა, რვა მილიონი ადამიანი უკეთებს ვიზიტს. საფრანგეთში მკითხავთა ოფიციალურად აკრძალულია. მიუხედავად ამისა, მკითხავები სახელმწიფოს საკმაოდ მოზრდილ საბეგრე თანხას უხდიან საშემოსავლო ბიუჯეტისად. არაოფიციალური ცნობით, საფრანგეთში მცხოვრებ მკითხავებს ყოველწლიურად ხუთი მილიარდი ფრანკი შემოსავალი აქვთ. ამას წინათ პარიზში, ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში, საზეიმოდ გაიხსნა... მკითხავთა სიმპოზიუმი. ეს მაღალ დონეზე ორგანიზებული „სამეცნიერო“ ღონისძიება ორი კვირა მიმდინარეობდა. სიმპოზიუმში ყოველგვარი ჯურის თაღლითი მონაწილეობდა. თავყრილობის უცვლელი თავმჯდომარე იყო საქვეყნოდ ცნობილი ჯადოხაზი ჟოზეფ დენიუარტი. სიმპოზიუმზე რამდენიმე „საკვანძო“ მოხსენება მოსმინეს. გაცხოველებული კამათი გაიმართა ისეთ საკითხებზე, როგორც არის მკითხავთა — ყავით, მკითხავთა — მაგნიტური კრისტალებით, მკითხავთა — პეპლებით, შელოცვა და გამოლოცვა, ჯალს ფუნქციები... მოკამათებებს მხედველობიდან არც მფრინავი თეფშები გამორჩენია, არც პარაფსიქოლოგია და არც თანამედროვე ტელეპათია... დასავლეთის ქვეყნებში თაღლითთა თარეში გრძელდება.

ცოტა რამ სიზმარზე

ამერიკელი მეცნიერი პატრიცია პარფილტი კალიფორნიის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს „სიზმრის ტექნოლოგიის შესახებ“. ფსიქოლოგ მეცნიერს მიაჩნია, რომ ადამიანს თვითშთაგონებით შეუძლია გამოიმუშაოს სასურველი სიზმრის ნახვის ჩვევა. ისევე, როგორც მადვიძარა საათის გარეშე შეიძლება გავიღვიძოთ დათქმულ დროს, ადამიანის ფსიქიკას უნარი შესწევს, ძილის წინ თვითშთაგონებით შეთხზას სიზმრის სასურველი „სცენარი“. მეცნიერის აზრით, სასურველი სიზმარი ადამიანს დადებითად მუხტავს. კარგ განწყობაზე აყენებს, მნიშვნელოვნად უმაღლებს შრომის უნარს.

ადამიანმა ძილში შეიძლება ნახოს შავ-თეთრი, ანდა ფერადი სიზმარი. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ სიზმრის ფერი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნერვიული სისტემის ინდივიდუალურ თავისებურებაზე, სულიერ განწყობაზე, ადამიანის მიერ დღის განმავლობაში მიღებულ შთაბეჭდილებებზე. მეცნიერებმა ასეთი ექსპერიმენტი ჩატარეს: სხვადასხვა ასაკის წითელსათვლიანი ადამიანები მთელი დღე დასეირნობდნენ გასართობ ადგილებზე. შედეგი საგულსხმო იყო: ექსპერიმენტის თითქმის ყველა მონაწილემ იმ დამხვევ სხვადასხვა ფერით შემყული სასიამოვნო სიზმარი ნახა.

მეცნიერებმა ამას წინათ გულდასმით შეისწავლეს უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტები. დაკვირვებით დადგინდა, რომ ის სტუდენტები, რომლებიც უფრო სწრაფად და ზუსტად სწავლობენ უცხო ენას, ხშირად ნახულობენ სიზმრებს. ამ ცდამ ერთხელ კიდევ დაადასტურა მოსაზრება, რომ კარგი მეხსიერების ადამიანი გაცილებით მეტ სიზმარს ხედავს.

ზოგიერთი ადამიანი ალკოჰოლს ძილის მკმგერელ საშუალებად იყენებს. მთვრალი, როგორც იტყვიან, მკვდარივით იძინებს, მაგრამ ეს ძილი არააჯანსაღია. ადამიანი დილით მოტეხილად და გამოუძინებლად გრძობს თავს. დადგენილია, რომ ალკოჰოლი თიშავს ძილის იმ ფაზას, რომელსაც სიზმარი ახლავს. ეს გარემოება ორგანიზმზე მავნე გავლენას ახდენს.

ცდებმა გვანახა, რომ ძილის წინ სკოლამდელი ასაკის ბავშვი საწოლში აკეთებს 38 მოძრაობას. საშუალო ხნის ქალი — 13 მოძრაობას, კაცი — 15 მოძრაობას. ძილში ბავშვები შედარებით ნაკლებად ხედავენ და ნაკლებად იმახსოვრებენ სიზმრებს. მამაკაცები და ქალები დაახლოებით ერთნაირ რაოდენობით ხედავენ სიზმრებს. სიზმრების 35 პროცენტი მუნჯია, 5 პროცენტი — გაურკვეველი, 60 პროცენტი თან სდევს საუბარი და სხვადასხვა ხმაური.

ჩაპარდნა

სხვა უღირს აღარც ჩაღადა,
„მე“-ში კისრამდე ჩავარდა!

კვარტეტი

ღელის გულით — მღერის,
მამის სკამით — ბარავს,
პაპის ჯიბით — ელის,
ბიძის ზარით — კალავს.

კაპტუსი

გშხამავს, ენა თუ აუსვი,
უმადურობის კაქტუსი.

გაამზითა

მთვარით წერდა,
განა მზითა,
გადაბეჭდა, —
გაამზითა!

რეპუტაცია

კაცია, დაღის ვაცივით,
ქვემსუბუქ რეპუტაციით!

ზაზა კაციაშვილი

ჯასარა

ცხოვრობს,
ვით ჩიტი ჯაფარა,
მუცელს იტკიებს,
თავს არა.

ჩაიზარცხა

გულუჭუჭვიდლში
ჩაიზარცხა —
ჩაღას მასმევე,
ჩაის ნაცვლად?

ლამის

აღარც წონა, აღარც ხურდა —
ჯიბე ლამის გადახურდა.

მაგნეზს

ცივ-ცივ ხმას და
ცხელ-ცხელ ამბებს
ყურმილიდან
ყურზე მაბნევეს.

უხსოვრი იუგორი

— ბატონო სერჟანტო, ერთი შემხედეთ, რას ვგავარ ახალბედა ჯარისკაცი ამ ფორმაში. შარვალი მოკლე მაქვს, ხალათი გრძელი და განიერი. ნამდვილი საფრთხობელი ვარ!

— მერე რა? ნამდვილი მეომარი ყველას შიშის ზარს უნდა სცემდეს!

სილაშაშის ინსტიტუტის დარაჯს კოლეგამ ჰკითხა:

— როგორ ახერხებ, რომ პაციენტები დიდ გასამრჯელოს გიტოვებენ?

— ამაზე იოლი რაღაა? როცა პაციენტი ინსტიტუტში შემოდის, ასე ვესალმები — „გამარჯობათ, ქალბატონო“. წახვლისას კი ასე ვემშვიდობები: — „კარგად ბრძანდებოდეთ, ქალიშვილო“.

— უაჰ, რატომ იტენი ყურში ბამბას?

— იმიტომ, რომ მასწავლებელი ყოველდღე მიმეორებს: უაჰ, რაც ერთ ყურში შეგდის, მეორედან გამოგდისო!

— მართალია, რომ ცოლიანები უცოლოებზე დიდხანს ცოცხლობენ?

— ო, არა... ცოლიანებს სიცოცხლე უსასრულო ეჩვენებათ!


გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: დეკორატიული მოტივი „ზაზა-შხუღი ძველ თბილისში“ მხატვარი ბაღრი სანოსანიძე.

გადაეცა წარმოებას 15. III. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 05. 84 წ. უე 07851 ქალაქის ზომა 70x1631/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წიხით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,09, ტირაჟი 48.200. შეკვ. 635. ფასი 35 კაპ.

880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. по. Руставели, 42.

კრძალვები



შეშულად: 1. საბჭოთა კავშირის კოსმონავტი; 2. დიდი საზღვაო ან საოკეანო გემი; 3. პირი, რომელიც არაოფიციალურად იგზავნება სხვა ქვეყანაში საიდუმლო პოლიტიკური დავალებით; 4. რაიმე მარცხი სხეულის განიკვეთი; 6. ვოლგოგრადის ძველი სახელწოდება; 7. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 8. სამეცნიერო ურუნალების გავრცელებული სახელწოდება; 14. ტროპიკული ხე; 15. ალ. უაზბეგის ნაწარმოების გმირი; 16. ამერიკელების მეტსახელი, რომელიც ევროპელებმა შეარქვეს; 17. ორთაბრძოლა რაიმე იარაღით; 20. ზღულე, დაბრკოლება, რომელიც უნდა გადალახოს; 21. პოლარეთის საბჭოთა მკვლევარი; 22. ტექნიკური ფიზიკის დარგი, რომელიც იკვლევს რადიოაქტიური პრეპარატების გამოხსივნებასა და აქტივობას; 24. გამოჩენილი საბჭოთა ქირურგი; 25. თანაბარი ატმოსფერული წნევის აღმნიშვნელ ადგილთა შემაერთებელი ზაზი რუკაზე; 28. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცების გზით; 29. საპაერო ფლოტი.

თარაზულად: 5. ქიმიური ელემენტი; 9. სანთლისმავარი ქიმიური ნივთიერება; 10. ატიტილსალიცილის მუავა; 11. საგანი, ადგილმდებარეობის გასარკვევად; 12. ცეკვის ხელოვნება; 13. შიდაწვის ერთ-ერთი ძრავა; 15. საწვავი სითხე; 18. ქართული ეპოსის გმირი; 19. ფერადი ლითონი; 20. თვითმფრინავი, რომელსაც აქვს ორი ფრთა ერთიმეორის ზევით; 28. მასობრივი წარმოების რაიმე საგნების ზუსტი ზომა; 26. ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 27. დედაშიწის კონტინენტი; 30. ლექსი მწყუბნების ცხოვრებაზე; 31. გამოჩენილი რუსი ბოლოვანი; 32. გზის სარემონტო მანქანა; 38. საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში სამეცნიერო ხარისხი; 34. იძულებითი, ან ნებაყოფლობითი გადასახლება თავისი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში.

შეადგინა ვაჟა ვახტანგაძემ.


შურნალ „დროშის“ №4-ში გამოქვეყნებული კრძალვების პასუხები:

თარაზულად: 1. მილანი; 5. სტურუა; 7. ყანელი; 11. მოლბერტი; 12. ანოტაცია; 14. ირტი; 15. ობლიაცია; 16. მარხი; 19. პრიზმა; 22. ცენტრი; 24. შარდენი; 25. მასა; 26. აული; 27. მერიმი; 28. ორლანი; 29. რიდე; 32. მანი; 33. ინდოეთი; 34. იაკობი; 35. თეორია; 38. ტაიმი; 39. ორბელიანი; 40. ეკალა; 44. ასპირინი; 46. ფრონტონი; 47. ასტურია; 48. იზმირი; 49. იდეალი.

შხუღულად: 1. მახვი; 2. ირიბი; 3. ანცი; 4. ხენა; 5. ხალია; 6. ალგეთი; 7. ყარიბი; 8. ირონია; 9. დოქტრინა; 10. ბიზანტია; 13. უგანდა; 17. ამირეჯობი; 18. ჰემინგუეი; 19. პლატინი; 20. გარმონი; 21. უნგრეთი; 28. „იოლანტა“; 30. ესპიომოხი; 31. ქორალი; 32. „მარაკანა“; 36. ორბიტა; 37. ანგოლა; 38. ტაბელი; 41. ასკეტი; 42. სიმლი; 43. ატენი; 45. იოტი; 46. ფარი.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-86, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-68, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილება-თა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოს — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



იოსებ ნონეშვილი

უკვდავება

კოედიდან „ამბავი ერთი ქალიშვილისა“

არა, არ არის, მტერო, მართალი,
ტყუილს არა აქვს ხელი მართალთან.
მაშინ დაიწყო, მისი ამბავი,
შენ რომ გეგონა, უკვე გათავდა.

ჭაში ჩააგდე, გეგონა, წაშლის
მის შუქს, მის სიტბოს მწუხრი, სიცივე?
ნახე, დღეს ყველა გოგონას თვალში
მისი სიცოცხლის შუქი ციმციმებს.

აღბათ გეგონა, მისი ამბავი
იმდამინდელი ნისლივით მორჩა?..
სიმფეროპოლში მისი საფლავი
მშვიდობის მტერთა სამსჯავროდ მოსჩანს..

იქ მოსამძიმრე კვიპაროსები
დგანან შეუცვლელ გუშაგებსავით
საფლავის ქვაზე, შავად მოსილად,
ბინდივით მოსჩანს დედა ბედშავი.

გეგონა, მორჩა მისი ამბავი,
როგორც ბუხართან თქმული ზღაპარი?

საფლავში ხარ თუ შავი ზღვის ძირზე,
მტერო, გულშავო სადაც ხარ ახლა,
სულ ერთი არის... აბა მისმინე...
იქნებ ცოცხალიც ცხვრის ქურჭში დგახარ?

გეგონა, ხუნდით დაიმონებდი?..
ის უკვდავების ხმად ჩაირკინა,
როგორც ზოია, როგორც ოლეგი,
როგორც ხობლოვი და ჩაიკინა.

უკვდავ სიცოცხლით გამოაშუქა,
ციდან ვარსკვლავად მოგვცა სალამი,
ყველა გმირ ქალთან, ყველა ჭაბუკთან
არდავიწყების დადგა კარავი.

გვიღიმის, შორით ჩვენც გვაძლევს ნიშანს,
დილის ნიავექარს გამოჰყოლია,
ამბობენ, რაღაც ძველ ენით ნიშნავს,
სიცოცხლეს ნიშნავს სიტყვა ზოია.

და განა მართო იმ ერთ ენაზე?..
გამარჯვებული ჩვენი თაობა
სიტყვა ზოიას გახსენებაზე
გრძნობს დიდ სიცოცხლეს, გამბედაობას.

თვალწინ გვეხატვის, თვალწინ გვიდგება,
დაჭკრის მშვიდობის მტრებზე მუქარით,
როგორც სამშობლოს ძალა, დიდება,
თავისუფლების სული მქუხარი.

...ნუ გიკვირს, მტერო, მათ ვერ დაითვლი,
ისინი რისხვის ქარიშხლად ჰქრიან,
სამშობლოსათვის მებრძოლ ქალიშვილს,
ყველა ქალიშვილს ზოია ჰქვია!



ზოია რუხაძე.

მოქანდაკე ტატიანა კიკაბიძე.

18/72

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნომერი 76056

დასაწყისი